24 აპრილი: ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა!

მისაროდენ! მისაროდენ!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, ცოცხალიც ბოჭდ-ვული სიფცვაა, ტყვიოლებით და ჯოხებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 22 აპრილი. 2022 წ. №52 (9390) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი



დღე – სასწაულთა დღე – სასწაული!

24 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ქართველ ერთან ერთად დღესასწაულობს იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.

...დიდ შაბათს, ნაშუაღამევს, ქრისტეს საფლავის მცველებმა მოულოდნელად იგრძნეს, რომ მიწა იძრა და იმწამსვე ანგელოზი დაინახეს თეთრად ელვარე სამოსელით, რომელმაც საფლავის კარიდან დიდი ლოდი გადააგორა და იქვე ჩამოჯდა.

ქრისტე აღსდგა!

ეს საოცარი სიტყვები ანგელოზის მიერ პირველად მენელსაცხებლე დედებს ეხარათ, დედებმა მსწრაფლ აუწყეს მოციქულებს, მოციქულებმა – თავიანთ სამწყოს და აი, მრავალი საუკუნეა, მილიონობით ადამიანი ამბობს:

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომილი მაცხოვარი პირველად იხილა და იცნო ღვთისმშობელმა და იგი მისი მოციქულების მოციქული გახდა.

ღირსება, თავისუფლება, ეკლესიის პატივისცემა, სუვერენიტეტის დაცვა!..

2

„ქართული ოცნების“ მშვიდობიანი ათწლეული

ბუნებრივია, მიღწევებთან ერთად, იყო არაერთი შეცდომა და ხარვეზი. თუმცა, რაც ყველაზე მთავარია, „ქართულ ოცნებას“ არასოდეს გადაუხვევია უმთავრესი პრინციპებიდან, რომლებიც ჩვენს პოლიტიკურ საქმიანობას უდევს საფუძვლად. ესენია – ღირსება, თავისუფლება და სოლიდარობა, პატრიოტიზმი და ეკლესიის პატივისცემა, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

ახლა ტვირთები ჩვენს ქვეყანაზე გავლით წავა ევროპაში!

6

საჭიროა, ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება!

ოსი ერის კასტრაცია!

5

კოკოითი უკრაინაში გასაგზავნად მოხალისეებს აგროვებს!

ვლადიმირ პუტინი:

მოწინააღმდეგეები ამოწყდებიან, ჩვენ კი სამოთხეში მოვხვდებით!..

4

ღირსება, თავისუფლება, ეკლესიის პატივისცემა, სუვერენიტეტის დაცვა!..

ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო განცხადება

ზუსტად 10 წელი შესრულდა ჩვენი პარტიის – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ოფიციალურად დაფუძნებიდან. ზუსტად 10 წლის წინ, 2012 წლის 21 აპრილს, შედგა პარტიის დამფუძნებელი ყრილობა. არსებობის 10 წლის მანძილზე „ქართულმა ოცნებამ“ ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. 2012 წლიდან დღემდე, „ქართულმა ოცნებამ“ ცხრაჯერ მოიპოვა საზოგადოების ნდობის მანდატი, რისთვისაც ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით. ამ ნდობის გამართლება ჩვენი უდიდესი პასუხისმგებლობა და ყოველდღიური საზრუნავია.

ბუნებრივია, მიღწევებთან ერთად იყო არაერთი შეცდომა და ხარვეზი. თუმცა, რაც ყველაზე მთავარია, „ქართულ ოცნებას“ არასოდეს გადაუხვევია უმთავრესი პრინციპებიდან, რომლებიც ჩვენს პოლიტიკურ საქმიანობას უდევს საფუძვლად. ესენია – ღირსება, თავისუფლება და სოლიდარობა, პატრიოტიზმი და ეკლესიის პატივისცემა, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით და პარტიის იუბილეს ვულოცავთ ჩვენი პარტიის დამფუძნებლებს, 40 ათასზე მეტ წევრს, ახალგაზრდული ორგანიზაციის ათასობით წევრსა და 100 ათასობით მხარდამჭერს, რომლებიც ერთგულად დგანან ქართული სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე.

2012 წელს, როდესაც ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით დაფუძნდა ჩვენი პარტია, ქვეყანა იყო უმძიმეს მდგომარეობაში – ავტორიტარული რეჟიმის მიერ ფეხქვეშ იყო გათელილი დემოკრატია და ადამიანის უფლებები; ადამიანების ღირსებისა და სიცოცხლის ხელყოფა, წამება და არაადამიანური მოპყრობა ყოველდღიურ პრაქტიკად იყო ქცეული; დანერგილი იყო სისხლის სამართლის არაადამიანური პოლიტიკა; შეკრების თავისუფლებას ხელისუფლება სისასტიკეს უპირისპირებდა; დანერგილი იყო ე.წ. ელიტური კორუფციისა და ბიზნესის რეკეტის სისტემური პრაქტიკა; სასამართლო, პროკურატურა, შსს და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურები ემსახურებოდა არა სამართალს, არამედ ავტოკრატიას და მისი მთავარი რეპრესიული ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებდა; არ არსებობდა მედიის თავისუფლება და ყველა წამყვანი მედიასაშუალება არა სიტყვის თავისუფლების, არამედ დიქტატურის სამსახურში იყო ჩაყენებული; ხალხს წართმეული ჰქონდა არჩევანის უფლება; ქვეყანას ჰქონდა სუსტი ეკონომიკა და მოსახლეობის 30 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა; არ არსებობდა მოსახლეობის სოციალური დაცვის არავითარი ქმედითი მექანიზმი, მათ შორის ჯანდაცვის მომსახურებით უზრუნველყოფის რაიმე ქმედითი სისტემა; 2003 წლიდან 2012 წლამდე საქართველოს მოსახლეობა 225 ათასით შემცირდა; ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი რუსეთს ჩააბარა, 30 ათასი ადამიანი კი დევნილად აქცია; შეჩერებული იყო საქართველოს წინსვლა დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით. სწორედ ამ უმძიმეს და ურთულეს ვითარებაში შეძლო „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ქვეყნის განვითარებაში დემოკრატიული გარდატეხის შეტანა. ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ ხალხს დაუბრუნეს თავისუფლება და დემოკრატია, რაც ქვეყნის წინსვლისა და განვითარების აუცილებელი პირობაა.

აღიკვეთა ადამიანის უფლებების ხელყოფის, ადამიანის ღირსების შელახვის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ბიზნესის რეკეტის სისტემური პრაქტიკა. 2,5-ჯერ შემცირდა პატიმრების რაოდენობა, ხოლო 12-ჯერ მათი სიკვდილიანობის მაჩვენებელი. პირველივე წლებში 11-ჯერ შემცირდა საქართველოდან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი სარჩელების რაოდენობა. მაღალი ხარისხით არის უზრუნველყოფილი მედიის თავისუფლება და მედიაპლურალიზმი. აღიკვეთა არჩევნების გაყალბების სისტემური პრაქტიკა და არჩევითი ორგანოები მოსახლეობის ნების შესაბამისად ფორმირდება. მაღალი სტანდარტით არის დაცული ეკონომიკური თავისუფლება და საკუთრების უფლება. ქვეყანას აქვს ახალი კონსტიტუცია, რომელიც სრულად შეესაბამება საპარლამენტო დემოკრატიის საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასა და სტანდარტებს.

სასამართლო, პროკურატურა და შსს აღარ გამოიყენება რეპრესიულ მექანიზმად, რაც არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებითა და სტატისტიკური მონაცემებით თვალნათლივ დასტურდება. სასამართლო სისტემაში პირველივე წლებში 6-ჯერ გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა, 3-ჯერ შემცირდა წინასწარი და ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების, ხოლო 2-ჯერ – საგამოძიებო მოქმედებებზე ბრალდების შუამდგომლობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი. 5-ჯერ შემცირდა შეფარდებული ჯარიმის, ხოლო 18-ჯერ – გირაოს თანხის საერთო ოდენობა.

2014 და 2020 წლების გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, 2012-21 წლებში საქართველოს ეკონომიკა 27 მილიარდიდან 60 მილიარდამდე გაიზარდა. 8 მილიარდიდან 19,5 მილიარდამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები. აღიკვეთა ე.წ. ელიტური კორუფცია – ყველა მაღალკვალიფიციური საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევის თანახმად, საქართველო რეგიონში მოწინავე ქვეყანაა კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით. 3-ჯერ გაიზარდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის ტემპი. 10-ჯერ გაიზარდა წყალმომარაგების სამუშაოების მოცულობა. განხორციელდა 300 ათასზე მეტი აბონენტის გაზიფიცირება. ამოქმედდა მეწარმეობისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის უპრეცედენტო პროგრამები. მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, 350 ათასმა მოქალაქემ დაძლია სიღარიბე, შეჩერდა საქართველოს მოსახლეობის კლება. ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვა ქმედითი მექანიზმები. 3-ჯერ გაიზარდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი. ასევე, გასამმაგდა განათლების, კულტურისა და სპორტის დაფინანსება“, – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, „ქართული ოცნების“ განცხადებით, პრაგმატული საგარეო პოლიტიკით, სერიოზული უსაფრთხოების გამოწვევების მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ განამტკიცა მშვიდობა და თვისებრივად აამაღლა ქვეყნის სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხარისხი.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება არის პირველი ქართული ხელისუფლება, რომლის დროსაც ქვეყანას ომი არ ჰქონია. პრაგმატული საგარეო პოლიტიკით, სერიოზული უსაფრთხოების გამოწვევების მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ განამტკიცა მშვიდობა და თვისებრივად აამაღლა ქვეყნის სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხარისხი. საქართველომ მიაღწია უპრეცედენტო წინსვლას დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. თვისებრივად გაიზარდა ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის ხარისხი, ხელი მოვაწერეთ ასოცირების შეთანხმებასა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ევროკავშირთან, მივიღეთ ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის. ევროკავშირის მიმართულებით ჩვენი თანმიმდევრული წინსვლის ლოგიკური გაგრძელებაა ოფიციალური განაცხადის წარდგენა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად.

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ შედეგებისა, რომელიც ჩვენმა პარტიამ – „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს 2012 წლის შემდეგ მოუტანა. ბუნებრივია, მიღწევებთან ერთად, იყო არაერთი შეცდომა და ხარვეზი. თუმცა, რაც ყველაზე მთავარია, „ქართულ ოცნებას“ არასოდეს გადაუხვევია უმთავრესი პრინციპებიდან, რომლებიც ჩვენს პოლიტიკურ საქმიანობას უდევს საფუძვლად. ესენია – ღირსება, თავისუფლება და სოლიდარობა, პატრიოტიზმი და ეკლესიის პატივისცემა, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

მადლობას ვუხდით ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც სწორედ ამ პრინციპებზე დააფუძნა ჩვენი პოლიტიკური მოძრაობა და ამით შექმნა მყარი საფუძველი ქვეყნის დემოკრატიული გარდატეხისა და საქართველოს ღირსეული განვითარებისათვის.

„ქართული ოცნება“ ჩვენთვის ორ უმთავრეს მიზანშია გამოხატული: პირველი – ეს არის ერთიანი საქართველო, საქართველო, რომელიც მშვიდობიანი გზით იბრუნებს არა მხოლოდ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, არამედ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებსა და დებსაც. ეს არის საქართველო, სადაც ადამიანებს აერთიანებს ერთმანეთისადმი სიყვარული. ღრმად გვწამს, რომ ჩვენი ოცნება ერთიან საქართველოზე აუცილებლად ახდება;

მეორე – ეს არის საქართველო კეთილდღეობის ევროპული ხარისხით, საქართველო, სადაც არცერთი ადამიანი არ ცხოვრობს სიღარიბეში და ყველა ოჯახი ცხოვრების ღირსეული პირობებით არის უზრუნველყოფილი. დღეს, საქართველოში დემოკრატიის განვითარების ხარისხი ეკონომიკის განვითარების ხარისხს მნიშვნელოვნად უსწრებს წინ, ასეთ დროს კი, საზოგადოების აღქმაში დემოკრატიასაც ნაკლები ფასი აქვს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის თანახმად, საქართველო ეკონომიკური ზრდის ტემპით 2021-27 წლებში მსოფლიოში მესამე, ევრაზიის კონტინენტზე კი – პირველი ქვეყანა იქნება. 2027 წლისთვის, საქართველოს ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე 9,200 დოლარამდე გაიზრდება, ხოლო 2030 წლისთვის, იმავე ტენდენციით, 12,500 დოლარს გადააჭარბებს, რითაც საქართველო მაღალშემოსავლიანი ქვეყნების რიგში გადაინაცვლებს. აქედან ჩანს, რომ პარტიის დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის მინიშნება 2030 წელზე კონკრეტულ გათვლებზე იყო დაფუძნებული და ამ გათვლებს მყარი რაციონალური საფუძველი ჰქონდა.

საქართველო აუცილებლად გახდება ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, ეროვნულ ტრადიციებსა და ქრისტიანულ ფასეულობებზე დაფუძნებული, ევროპული სახელმწიფო. ეს არის ის, რაზეც ოცნებობდნენ ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ნიკოლაძე და სხვა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწეები. ამაზე ოცნებობდნენ ჩვენი გმირები, რომლებმაც საქართველოს ყველაზე ძვირფასი, სიცოცხლე შესწირეს. ამაზე ოცნებობს თითოეული ქართველი, რომლისთვისაც სიტყვა სამშობლო ძვირფასი და ღირებულია. გვჯერა, რომ „ქართული ოცნება“ ერთიან და ძლიერ საქართველოზე აუცილებლად ახდება. საზოგადოების მხარდამხარ, ამ ოცნების ასახდენად ჩვენი პარტიის ერთ მუშტად შეკრული გუნდი ძალისხმევას არ დაიშურებს, გააგრძელებს ბრძოლასა და შრომას ჩვენი ძვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველო მრავალმხრივ ფორმატებში აგრძელებს უკრაინის დახმარებას

უკრაინაში მიმდინარე ომი, რეგიონში არსებული უსაფრთხოების ვითარება და საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორული ურთიერთობების გამყარება იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და საქართველოში აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო მტკიცედ დგას საერთაშორისო თანამეგობრობის გვერდით და აგრძელებს უკრაინის პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს კი საომარი მოქმედებების დროს არ შეუჩერებიათ მუშაობა კიევში, ოდესასა და ლვოვში.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობა უკრაინას ომის დაწყების დღიდან მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს, უკრაინაში უკვე გაგზავნილია 500 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი და ეს პროცესი გრძელდება, საქართველოში ჩამოსულ უკრაინის მოქალაქეებს კი მაქსიმალური მხარდაჭერა გაეწიათ ყველა შესაბამისი სამსახურის მხრიდან.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მრავალმხრივ ფორმატებში საქართველო უკრაინას აქტიურად უდგას გვერდით და უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციების თანასპონსორია.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი ესწრებოდა.



კითხვარის გადმოცემა ახალი ეტაპია ევროკავშირთან ურთიერთობაში

საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული ოფიციალური განაცხადი და საქართველო-გერმანიის ურთიერთობები იყო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ჰუბერტ ქნირშის შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის 11 აპრილს კითხვარის გადმოცემა ახალი ეტაპია ევროკავშირთან ურთიერთობაში, რაც ქვეყანას დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს, გააძლიეროს ძალისხმევა ევროკავშირში გაწევრიანების მიმართულებით.

მისივე თქმით, პროცესის ეფექტიანად წარმართვისა და მოკლე ვადაში დასრულების მიზნით, ყველა უწყება კოორდინირებულად და აქტიურად მუშაობს, პროცესს კი პირადად პრემიერ-მინისტრი აკონტროლებს. შეხვედრისას აღინიშნა, რომ ქვეყანა წარმატებით განაგრძობს ასოცირების შეთანხმების (AA) დღის წესრიგით გათვალისწინებული დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას და ხაზი გაესვა ამ პროცესში საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის გერმანიის უმნიშვნელოვანეს მხარდაჭერას. საუბარი შეეხო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებსაც. შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს პროფესიული განათლების საკითხებზე. პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ქვეყანაში პროფესიული განათლების განვითარებას და ამ პროცესში გერმანიის ჩართულობასა და მხარდაჭერას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ქახა კალაძე: დოვლათიანი საქართველოსთვის!

„10 წლის წინ საქართველოს მოსახლეობის სულისკვეთების მხარდამხარ, საქართველოს საოცნებო მომავლის შენების სურვილით გულანთებულები შევიკრიბეთ ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ და დავაარსეთ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“. ჩვენმა პარტიამ მოახერხა ქვეყანაში არსებული მაშინდელი პოლიტსპექტრის კონსოლიდაცია, დემოკრატიული არჩევნებით ქვეყნის ავტოკრატიული ჩიხიდან გამოყვანა და საქართველოს სწორი, ევროპული არჩევანისკენ სავალ გზაზე დაბრუნება!

დიდი გამოწვევაა პარტიისთვის გარე მტრისგან მომავალ საფრთხეებთან გამკლავება, დიდი ტვირთია შინაურ მტერთან პოლიტიკური დაპირისპირება, ყოველმხრივ გაზრებული პოლიტიკის გატარება და ამ რთულ ვითარებაში ქვეყნის სწორად მართვა. ამავდროულად, დიდი სტიმულია ხალხის ნდობა და მხარდაჭერა.

დიდი პასუხისმგებლობაა დასახული მიზნებისკენ სვლა და უდიდესი ვალდებულებაა ქვეყნის წინსვლაში, სწორად განვითარებაში პარტიული კვალის დატოვება — უკეთესი საქართველოსთვის, მშვიდობიანი საქართველოსთვის, დოვლათიანი საქართველოსთვის, ჩვენი ყველას საოცნებო საქართველოსთვის“.

დავით ნარმანია: რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტზე რაიმე ფორმის სანქციების დაწესების შემთხვევაში, ჩვენ საფრთხე არ გვემუქრება

— განცხადება ამის შესახებ დავით ნარმანიამ გააკეთა. მისი თქმით, არსებობს ალტერნატიული წყაროები, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში იმპორტის დივერსიფიკაცია იქნება შესაძლებელი.

„მარტი მშრალი თვე იყო და შესაბამისად ხდებოდა დიდი იმპორტი. ახლა ჩვენ უკვე გადავდივართ იმ ფაზაში, როდესაც ელექტროენერგიის იმპორტი აღარ დაგვჭირდება, რადგან საკმაოდ წყალუხვი გაზაფხული იქნება კლიმატური პირობებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ჩვენი ელექტროსადგურები საკმარის ენერგიას გამოიმუშავებენ, რომ სრულად იქნას უზრუნველყოფილი ადგილობრივი მოთხოვნა. მეტიც, ჩვენი ვარაუდით უახლოეს პერიოდში გვექნება საექსპორტო ელექტროენერგია, რომლის გატანაზე მუშაობაც უკვე მიმდინარეობს.

რაც შეეხება რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს. ვინაიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ჩვენ მიღების წყაროები გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ რაღაცა ფორმის დამატებითი სანქციები დაწესდება იმპორტზე, ჩვენ საფრთხე ნამდვილად არ გვემუქრება. გვაქვს ალტერნატიული წყაროები, თუმცა, ქვეყანა მაინც ეცდება, რომ დისტანცირდეს რუსეთიდან. უბრალოდ, აქ ერთი ფაქტორია. როცა იაფი ენერგია არსებობს, ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება, რომ უარი ვთქვათ ამაზე და უფრო ძვირი ენერგია შემოვიტანოთ. ეს შემდეგ აუცილებლად მოახდენს ზეწოლას ტარიფზე. ამდენად, ვცდილობთ, გავითვალისწინოთ ყველა ფაქტორი, რომ მომხმარებელზე ცუდად არ აისახოს რაიმე პროცესი“, — განაცხადა ნარმანიამ.

800-მდე დევნილ ოჯახს სოფლად სახლს შეუძენენ

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო 800-მდე დევნილ ოჯახს სოფლად სახლს შეუძენს. ოჯახების სია, სააგენტოს ვებგვერდზე, გამოქვეყნდა. სახლებს, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, 6 თვის განმავლობაში, თავად დევნილები შეარჩევენ.

იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს, საცხოვრებელი სახლები პროექტ „სოფლად სახლის“ ფარგლებში გადაეცემათ. პროგრამა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, წარმატებით ხორციელდება. დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის კიდევ უფრო დაჩქარების მიზნით, კომისიის სხდომები ყოველთვიურად იმართება. 2022-2024 წლებში, „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, იძულებით გადაადგილებული 6000-მდე ოჯახი განსახლდება.

ჯანდაცვის მინისტრი: გარდაცვლილი ადამიანის საქმეს ისე განხილავდნენ, თითქოს არაფერი ხდებოდა

„პირველ შესვედრაზე რომ მივედი, შოკში ვიყავი, გარდაცვლილი ადამიანის საქმეს განხილავდნენ, ზოგიერთი საბჭოს წევრისგან ისეთი დამოკიდებულება იყო, თითქოს არაფერი ხდებოდა“ — ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა ექიმებისა და კლინიკების გადაცდომებზე საუბრისას განაცხადა. „აიპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ის ამბობს, რომ პაციენტის გარდაცვალების შემთხვევებში, სადაც ექიმის ბრალეულობა იკვეთება, სათანადო რეაგირება არ ხდება. თუმცა, მინისტრმა თქვა ისიც, რომ ძალიან ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ექიმის ბრალეულობა არ იკვეთება. ვრცელ ინტერვიუში, ზურაბ აზარაშვილი ყურადღებას პროფესიული განვითარების საბჭოს მუშაობაზე ამახვილებს და აცხადებს, რომ უწყებას მუშაობის პრობლემა აქვს.

სამწუხაროდ, ყველა პრობლემა იქიდან მოდის, რომ ბოლო წლების განმავლობაში მოსახლეობას, ექიმების მიმართ ცოტა ნდობა აქვს დაკარგული. ნებისმიერ პრობლემას, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს პაციენტთან, აბრალებენ ექიმს. ზოგიერთ შემთხვევაში მართლაც არის ექიმის ბრალეულობა, მაგრამ არა ყოველთვის, როგორც სურთ რომ წარმოაჩინონ.

იმ შემთხვევების ობიექტურად შეფასება უნდა მოხდეს, სადაც ექიმის ბრალეულობა იკვეთება, რამაც პაციენტი გარდაცვალებამდე მიიყვანა. გეტყვით, რომ არ ხდება სათანადო რეაგირება. აქ აღმოვაჩინეთ, რომ გვქონია პროფესიული საბჭო. „აღმოვაჩინეთ“-ს იმიტომ ვამბობ, რომ პრაქტიკულად მუშაობის პრობლემა აქვთ უწყებაში.

ამ საბჭოს საიდან მივაგენით... აღმოჩნდა, რომ სამედიცინოს როდესაც ამთავრებენ, მერე კვალიფიკაციის გამოცდაა, რომელსაც აქ აბარებენ. ასევე როდესაც უცხოეთში მოღვაწეობს ექიმი, თუნდაც ქართველი და იგივე პროფილით უნდა საქართველოში დაბრუნება, კონკრეტული პროფილის ასოციაციები უნდა შეიკრიბონ და ასე ვთქვათ, ამათ მისცენ იმ ექიმს „კურთხევა“, რომ აქ საქმიანობა დაიწყოს. თითქმის 99% შემთხვევაში, ეუბნებიან უარს. სინამდვილეში რა ხდება? იქიდან რომ ჩამოვა კვალიფიციური სპეციალისტი და აქ მისცემენ საქართველოში მუშაობის უფლებას, უჩნდებათ კონკურენტი. ამიტომ ეს პროცესი აბსოლუტურად არასწორად არის მოწყობილი.

შეიძლება საკონსულტაციოდ ვესაუბრო ასოციაციებსაც, სხვა კომპეტენტურ ხალხსაც, მაგრამ, საბოლოო გადაწყვეტილება რეგულირების სააგენტოს რომ ვახსენებთ, უნდა იყოს ამათზე.

ძალიან მარტივად და ადამიანურ ენაზე რომ აგიხსნათ, ახლა „კოკა-კოლასთვის“ რომ გვეკითხა „პეპსი“ შემოგვეშვა თუ არა საქართველოში, დაგვიდასტურებდა?! დიდი ალბათობით — არა. ამ პროცესის მოწყობა გვინდა ისე, რომ სამართლიანი და ობიექტური გავხადოთ, ობიექტურად რომ მოხდეს ექიმის შეფასება, კვალიფიკაციით და არა იმით რომ ვიღაცის კონკურენტი გახდება“, — განაცხადა **ზურაბ აზარაშვილმა.**

ჯადოსნური რეცეპტი რომ არსებობდეს... აქამდე რუსეთი პუტინს შეცვლიდა!

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა," მის არაფორმალურ ლიდერთან ერთად, ახალ გეგმაზე გადადის და სტრატეგიას ნაწილობრივ ცვლის. ამჯერად „ნაცმოძრაობის" მოთხოვნა ვადამდელი არჩევნების დანიშვნაა. პარტიაში მიიჩნევენ, რომ „აქციის ნაცვლად, უნდა მოემზადონ დიდი ეროვნული დღესასწაულისთვის, სადაც ზეიმით გააცილებენ „ქართულ ოცნებას" ხელისუფლებიდან".

აღნიშნულს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც მმართველ პოლიტიკურ გუნდში, ასევე ოპოზიციაში. „ქართული ოცნება" თვლის, რომ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა, „ნაციონალური მოძრაობის" ერთგვარი ჰალუცინაციის ნაწილია.

„თუ ასეთი მავნებლური დღის წესრიგით მუშაობა გააგრძელეს, რიგგარეშე არჩევნებზე ფიქრი დასრულებული არ ექნებათ, რომ რიგით არჩევნებში კიდევ ერთხელ დამარცხდებიან", — განაცხადა ვიცე-სპიკერმა **არჩილ თალაკვაძემ**.

ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი კი „ნაცმოძრაობას" ემიჯნება და საჯაროდ აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილთან და მის პარტიასთან თანამშრომლობას არ აპირებს. ნაწილი იმასაც აღნიშნავს, რომ ქუჩის პროტესტს შედეგი ისედაც არ მოაქვს.

ანალიტიკურ წრეებში თვლიან, რომ საზოგადოებაში ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის განწყობა არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ„ნაციონალური მოძრაობა" დაახლოებით 10 წელია ცდილობს ხელისუფლების შეცვლას, ეს იქნება ძალისმიერი თუ არჩევნების გზით, ვერ მოხდა. ის გეგმა, რომელსაც „ნაცმოძრაობა" 2012 წლიდან, მას შემდეგ, რაც იგი ხელისუფლებიდან წავიდა, ამუშავებს, კონკრეტული მიზანის მიღწევის წინაპირობას ვერ ქმნის. ეს ნიშნავს იმას, რომ „არჩევანი ცუდსა და უარესს შორის", კვლავ კარგად მუშაობს.

ანალიტიკოს **ვახტანგ ძაბირაძის** განცხადებით, მექანიზმი იმისა, რომ ხელისუფლების შეცვლა მომენტალურად მოხდეს, არ არსებობს. როგორც მან For.ge-სთან საუბარში აღნიშნა, არც შესაბამისი განწყობა არ არის საზოგადოებაში, რომ დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები. თანაც, წლებია „ნაციონალური მოძრაობის" გეგმა და სტრატეგია არ მუშაობს.

„ოპოზიცია ამ გეგმას ამუშავებს უკვე ორი წელია. ახლა თუ ახალი ამერიკა აღმოაჩინეს, არ ვიცი, მაგრამ ქვეყაანაში მათ მიმართ დამოკიდებულება უარესობისკენ მიდის, ვიდრე პოზიტივისკენ, ეს ადგილობრივმა არჩევნებმაც აჩვენა. ამასთან, მოსახლეობაში იმის განწყობა, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, არ არის. როგორ აპირებენ ამას, ძალიან მაინტერესებს. რა უნდა გააკეთოს ახლა ოპოზიციამ ისეთი, რომ ვადამდელ არჩევნებს მიაღწიოს, უმრავლესობას დაშლის?! ჯადოსნური რეცეპტი რომ არსებობდეს — ვიღაცას რევოლუცია, რიგგარეშე არჩევნები ან ხელისუფლების შეცვლა მოუნდეს და ეს მომენტალურად გააკეთოს, აქამდე რუსეთი პუტინს შეცვლიდა და დასრულდებოდა ომი.

ანალიტიკოსი **რამაზ სამყარელიძე** ამბობს, რომ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით „ნაცმოძრაობამ" შესაძლოა, საზოგადოებაც კი გააღიზიანოს, არა თუ ეს განწყობა გააჩინოს. ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა შედეგს ვერ მოიტანს.

„ხელისუფლების შეცვლის გეგმა, თან ისეთი დირიჟორის პირობებში, რომელიც მათ ჰყავდათ ამერიკიდან ჩამოყვანილი, არ იქნებოდა საარჩევნო გზით შეცვლა, მაგრამ არჩევნები შეიძლება აღმოჩნდეს მექანიზმი საიმისოდ, რომ შემდეგ დაიწყოს საპროტესტო ტალღა. არჩევნები ჩატარდეს და გაპროტესტდეს შედეგი. ამის იმედი აქვთ, რომ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა გახდება საზოგადოების პროტესტის მიზეზი და ამ ტალღაზე შეძლებენ ხელისუფლების შეცვლას.

საზოგადოებაში ასეთი განწყობა საერთოდ არ არსებობს. დიდი შანსია, რომ გაღიზიანება გამოიწვიოს საზოგადოებაში ახლა არჩევნებზე ლაპარაკმა. არაფერი ხდება საიმისოდ, რომ ვადამდელი არჩევნების განწყობა გაჩნდეს საზოგადოებაში. ოპოზიცია მაინც თუ ცდის, ეცდება უკრაინის თემის აგორებას, რომ აუცილებელია ვადამდელი არჩევნები, რადგან „ოცნება" დავუშვათ, არ უჭერს მხარს უკრაინას ისე, როგორც საჭიროა. თუ ეს ლოზუნგი იქნება წამოყენებული, ვფიქრობ, აქაც მარცხი ელოდება ოპოზიციას, რადგან „ოცნების" ჩაურევლობა კონფლიქტში, ეს პრინციპი საზოგადოების ფართო წრეებში უფრო მეტ მხარდაჭერას ნახავს, ვიდრე კრიტიკას".

ნიკო ჩოხელი

მოწინააღმდეგეები ამოწყდებიან, ჩვენ კი სამოთხეში მოვხვდებით!..

„არავითარი წითელი ღილაკი არ არსებობს". რა დევს პუტინის ადიუტანტის ჩემოდანში?

კითხვა, რამდენად რეალურია, რუსეთმა გარკვეულ ეტაპზე ბირთვული იარაღი გამოიყენოს, აქტუალობას არ კარგავს. ე.წ. „წითელ ღილაკზე" საუბრები ბოლო ორი თვის განმავლობაში ხან — მეტი, ხანაც ნაკლები ინტენსივობით გრძელდება. ერთმნიშვნელოვანი პასუხი, რამდენად შესაძლებელია პუტინის მიერ მსგავსი ნაბიჯის გადადგმა, ანალიტიკოსებს არ აქვთ, თუმცა ერთ რამეზე ყველა თანხმდება: ეს არც ისე მარტივია — თუნდაც იმის გამო, რომ არავითარი „წითელი ღილაკი" რეალურად, არ არსებობს და საუბარია ბევრად უფრო რთულ, მრავალკომპონენტიან სისტემაზე, რომელშიც პუტინი ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს.

„არავითარი წითელი ღილაკი არ არსებობს. რეალურად, იმ ჩემოდანში, რომელსაც პუტინის კვალდაკვალ მისი ადიუტანტი დაატარებს, დევს კოდი, რომელიც აუცილებელია ბირთვული იარაღის ამოქმედებისთვის — აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი" — განმარტავს სამხედრო ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი.

იგი პროცედურას ასე აღწერს: პრეზიდენტი ბირთვული იარაღის გამოყენების ბრძანებას იძლევა და გასცემს თავის „გასაღებს", აუცილებელს მბლოკავ მოწყობილობაში სპეციალური კოდის შეყვანით ბირთვული მუხტის გამშვებ სისტემაზე წვდომის უზრუნველსაყოფად. ყველაზე სუსტი ტაქტიკური ბირთვული იარაღიც რომ ავიღოთ, ასეთი კი სადღეისოდ მსოფლიოში 152 მმ კალიბრის 0,4-კილოტონიანი საარტილერიო ქობინია, მასზეც ლითონის უმტკიცესი ზღუდეა დამაგრებული, რომელიც ხელს უშლის ქობინის ჩადებას გამშვები სისტემის ლულაში და ამ წინაღობის მოსახსნელად აუცილებელია რვანიშნა კოდი. ანუ, საქმე გვაქვს რთულ ციფრულ გასაღებთან. „პუტინს კოდის მხოლოდ ერთი — მთავარი ნაწილი აქვს, დანარჩენები კი შესაბამისი იერარქიის სხვადასხვა საფეხურებზე მყოფმა პირებმა უნდა შეავსონ (ან დაადასტურონ) კოდის მათ ხელთ არსებული ნაწილებით. ამ იერარქიული სისტემის რომელიმე საფეხურზე რომ ჩავარდნა მოხდეს, კოდის მოხსნა და შესაბამისად, ბირთვული დარტყმის განხორციელება შეუძლებელი გახდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ იერარქიის რომელიმე ერთ ან რამდენიმე საფეხურზე მყოფი პირები პუტინის ამ სიგიჟის განხორციელებას არ დასთანხმდებიან, ისინი კოდის საკუთარ ნაწილს გაანადგურებენ — და პროცესი ჩაიშლება" — განმარტავს ჟდანოვი და დასძენს, რომ ეს ბირთვული დარტყმის თავიდან აცილების პირველი გზაა.

არსებობს მეორე საშუალებაც, რომელიც ბირთვული მუხტის ერთი წერტილიდან მეორეში გადატანის საჭიროებას უკავშირდება. „პრეზიდენტის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების ბრძანების აღსასრულებლად საჭიროა, ბირთვული მუხტი გაიცეს შენახვის ადგილიდან (სარაკეტო-ტექნიკური ბაზიდან) და გადატანილ იქნას იმ სამხედრო ნაწილში, რომელმაც ის უნდა გამოიყენოს. მოგეხსენებათ, Google-მა ამასწინათ რუსეთის ყველა სტრატეგიულ ობიექტს „საფარი" მოუხსნა და ახლა უკვე შესაძლებელია ყველა მათგანზე დაკვირვება. ამასთანავე, აგენტურულ დაზვერვას არ გაუჭირდება, ელექტრონული და რადიოტექნიკური საშუალებების გამოყენებით თვალი მიადევნოს ბირთვული მუხტის გადატანის პროცესს მისი ე.წ. რადიოაქტიური შლეიფის გამო და ეს შესაძლებლობას მისცემს მოწინააღმდეგე მხარეს, ბირთვული იარაღის გამოყენება მზადების პროცესშივე ჩაშალოს" — ამბობს ჟდანოვი.

მესამე გზად კი იგი პუტინის ბოლოდროინდელ მუდმივ ადგილსამყოფელზე — ბუნკერზე პრევენციული დარტყმის განხორციელებას ასახელებს.

ცნობისთვის: პუტინი და რუსეთის ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნები უკვე წლებია, პერიოდულად ახსენებენ ბირთვული იარაღის გამოყენებას და ამის პირობებსა და შესაძლებლობებზე საუბრობენ. ამ თემაზე რუსეთის პრეზიდენტმა 2018 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროსაც ისაუბრა, მომდევნო წლებში კი თემას კვლავ დაუბრუნდა და ერთ-ერთ საჯარო შეხვედრაზე გამაოგნებლად „იხუმრა" შესაძლო ბირთვული ომის მსხვერპლთა შორის განსხვავებაზე: „ისინი (მოწინააღმდეგეები — რედ.) ამოწყდებიან, ჩვენ კი სამოთხეში მოვხვდებითო". „ბირთვული საფრთხის განეიტრალებას" ასახელებდა კრემლი უკრაინაში ამჟამინდელი შეჭრის ერთ-ერთ მიზნად ომის წინა პერიოდშიც. ორიოდ დღის წინ კი მოსკოვმა ბირთვული მუქარა ამჯერად ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანების გეგმის საპასუხოდ გააჟღერა.

არსებული ინფორმაციით, რუსეთს სადღეისოდ შემდეგი სახეობებისა და რაოდენობის სტრატეგიული ბირთვული ძობინები გააჩნია: საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები — 1185 ერთეული; წყალქვეშა ნავების შეიარაღებაზე არსებული ბალისტიკური რაკეტები — 800; სტრატეგიული ბომბდამშენების შეიარაღებაზე არსებული რაკეტები — 580. ამას გარდა, მის შეიარაღებაშია ნაკლებად დამანგრეველი ტაქტიკური ბირთვული იარაღი ბრძოლის ველზე გამოსაყენებლად. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოსკოვს ყველა ძობინი მზად აქვს გამოყენებისთვის. ექსპერტების აზრით, დაახლოებით 1500 მათგანი უბრალოდ განთავსებულია ბაზებზე, აეროდრომებსა თუ წყალქვეშა ნავებზე.

ზოგადად, ბირთვული იარაღის მთავარი ამოცანა მაქსიმალური ზიანის მიყენებაა, მისი სიმძლავრე კი დამოკიდებულია ქობინის ზომაზე, აფეთქების სიმაღლეზე, ასევე რელიეფის მახასიათებლებზე.

მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ რუსეთმა უკრაინა არათუ 2-3 დღეში ვერ აიღო — როგორც პუტინს მისი სამხედრო გარემოცვა ჰპირდებოდა, არამედ თვენახევარშიც კი — და მეტიც, მისმა ჯარმა ომის „პირველ ფაზაში" კონვექციური ბრძოლები პირწმინდად წააგო, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ პუტინის მიერ ტაქტიკური ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენებისთვის მზადყოფნის აუცილებლობის შესახებ განაცხადა. „მათ ეს შეუძლიათ, რადგან მათთვის ადამიანის სიცოცხლე არაფერია! ჩვენ კი არ უნდა გვეშინოდეს, მზად უნდა ვიყოთ საამისოდ და ეს საკითხი მხოლოდ უკრაინას არ ეხება — ამაზე მთელმა მსოფლიომ უნდა იფიქროს" — აღნიშნა პრეზიდენტმა CNN-თან ინტერვიუში.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) დირექტორმა უილიამ ბერნსმა კი განაცხადა, რომ უკრაინის ომში წარუმატებლობით გამოწვეულმა „პოტენციურმა სასოწარკვეთამ" შესაძლოა, კრემლის ლიდერს საკუთარ მოსახლეობაში ვითომდა გამარჯვების განცდის შესაქმნელად ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებისკენ უბიძგოს.

„ამის გათვალისწინებით, არც ერთმა ჩვენგანმა არ უნდა აღიქვას ეს საფრთხე ზედაპირულად. თუმცა ჯერჯერობით არ გვინახავს ჯარების განლაგების ან იარაღის გადაადგილების პრაქტიკული მტკიცებულებები, რომელიც პუტინის მხრიდან მსგავსი ნაბიჯის გარდაუვალობაზე მიგვანიშნებდა" — დასძინა მან.

მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ რუსეთი ოფიციალურად უნდა აღიაროს ტერორისტად

პრეზიდენტ ზელენსკის თქმით, თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იპოვონ თითოეული რუსი სამხედრო, რომელმაც კიევის ოლქში სამხედრო დანაშაული ჩაიდინა და მათ პასუხისგებაში მისცემენ.

„ვმუშაობთ იმაზე, რომ რუსეთის ყველა სახელმწიფო მოღვაწემ, ვინც მხარს უჭერს ამ სამარცხვინო ომს, მიიღოს ლოგიკური სასანქციო პასუხი დემოკრატიული სამყაროსგან. რუსეთი ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ უნდა იქნას აღიარებული, რუსეთის შეიარაღებული ძალები კი, ტერორისტულ ორგანიზაციად“.

ამასთან, უკრაინის პრეზიდენტის თქმით, საერთაშორისო პარტნიორებს სულ უფრო უკეთ ესმით, რა და როდის სჭირდება უკრაინას რუსი ოკუპანტებისგან თავის დასაცავად.

ნატოს ერთიანობას პუტინი არ მოელოდა

ნატოს ერთიანობას ვლადიმერ პუტინი არ მოელოდა, არ ელოდა, რომ ერთად დავდგებოდით, — ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა ამერიკელ სამხედროებთან შეხვედრისას განაცხადა. ბაიდენის თქმით, უკრაინელები იმაზე ძლიერები და ამაყები აღმოჩდნენ, ვიდრე ფიქრობდა. **„განცვიფრებული ვარ, რას აკეთებენ თქვენი დახმარებით, რჩევებისა და შეიარაღების უზრუნველყოფით, რასაც თქვენ აწვდით, ნატოს სხვა წევრებთან ერთად. იარაღი და საბრძოლო მასალა ყოველდღიურად მიედინება და ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ალიანსები და პარტნიორობა მთელს მსოფლიოში. ჩვენი მოკავშირეები ძლიერდებიან, აძლიერებენ ჩვენს რეაგირებას. ნატო არის ერთიანი, ორიენტირებული და ენერგიული, როგორც არასდროს“,** — განაცხადა ბაიდენმა.

გინდ, პუტინთან გისაუბრია და გინდ - ნიანგთან

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ბორის ჯონსონმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკება ნიანგთან ურთიერთობას შეადარა.

ბორის ჯონსონმა უკრაინა გააფრთხილა, რომ რთული იქნება სამშვიდობო შეთანხმების მოლაპარაკება ლიდერთან, რომელიც ასე არასანდოა. ბრიტანეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ პუტინმა მკაფიოდ განაცხადა, რომ მას უკრაინის უფრო მეტი ტერიტორიის აღება სურს და შესაძლოა, კიდევ ერთი თავდასხმა განახორციელოს ქვეყნის დედაქალაქ კიევზე.

„როგორ შეიძლება ნიანგთან მოლაპარაკება, როდესაც მას შენი ფეხი ყბაში აქვს. ეს არის სირთულე, რომლის წინაშე უკრაინელები დგანან. ძალიან ძნელია იმის დანახვა, თუ როგორ შეუძლიათ უკრაინელებს მოლაპარაკება პუტინთან“, — აღნიშნა ბორის ჯონსონმა.

ნატოს შიგნით არიან ქვეყნები, რომლებსაც უკრაინაში ომის გაგრძელება სურთ...

ნატოს შიგნით არიან ქვეყნები, რომლებსაც უკრაინაში ომის გაგრძელება სურთ, რადგან ომის გაგრძელებაში რუსეთის დასუსტებას ხედავენ და დიდად არ აწუხებთ უკრაინაში სიტუაცია, — განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ.

„ზელენსკიმ განაცხადა, რომ მას ნატოს მე-5 მუხლის მსგავსი უსაფრთხოების გარანტია სურდა. არცერთმა ქვეყანამ არ მიიღო ეს წინადადება. ამას არც აშშ, არც დიდი ბრიტანეთი და არც კანადა არ ეთანხმება. რა თქმა უნდა, თურქეთისთვისაც მიუღებელია ეს. პრინციპში, უსაფრთხოების გარანტიას არავინ ეწინააღმდეგება, მაგრამ ამ გარანტიის პირობები არ არის ნათელი. არავინ ეთანხმება ზელენსკის მოთხოვნას ნატოს მე-5 მუხლის მსგავს უსაფრთხოების გარანტიაზე“, — აღნიშნა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ამ ომში ან რუსეთი იმარჯვებს და მთელი მსოფლიო მარცხდება, ანდა რუსეთი მარცხდება ისე, კრემლის თითის ქნევას ყურადღებას არავინ მიაქცევს

რუსეთი დონბასსაც კი ვერ გადაყლაპავს!



„შვედეთი და ფინეთი შეთანხმდა, რომ ერთად გამოიმუშავებენ ნატოში გაწევრების სტრატეგიას. ამას მოჰყვა რუსეთის ყოფილი პრემიერის, დიმიტრი მედვედევის მუქარა, რასაც ყურადღებას უკვე აღარავინ აქცევს“, — განაცხადა ექსპერტმა საერთაშორისო საკითხებში, **სოსო ცინცაძემ**.

— ფინური მედიის ინფორმაციით, რუსეთს ფინეთის საზღვრისკენ სარაკეტო თავდაცვითი სისტემები გადააქვს. რუსული სამხედრო ტექნიკის განლაგება ხდება მას შემდეგ, რაც ფინეთის პრემიერ-მინისტრმა, სანა მარინმა იმედი გამოთქვა, რომ მთავრობა „ზაფხულის შუა რიცხვებისთვის დაასრულებს დისკუსიას“ ნატოში გაწევრებაზე განაცხადის შესახებ. საპასუხოდ, კრემლის სპიკერმა დიმიტრი პესკოვმა თქვა, რომ ეს ნაბიჯი უსაფრთხოების მდგომარეობას ევროპაში „არ გააუმჯობესებს“. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია დღეს რუსეთის მუქარა ფინეთთან მიმართებაში და შესაძლოა თუ არა, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე მსოფლიოში ვითარება უფრო მეტად დამძიმდეს?

— დღეს უკვე ფინეთი და შვედეთია დღის წესრიგში. ფინეთში რეალურად გადაწყვეტილი აქვთ ნატოში გაწევრება, რასაც ასევე მოჰყვება შვედეთის გადაწყვეტილება. ეს ორი ქვეყანა შეთანხმდა, რომ ერთად გამოიმუშავებენ ნატოში გაწევრიანების სტრატეგიას. ამას მოჰყვა რუსეთის ყოფილი პრემიერის დიმიტრი მედვედევის მუქარა, რასაც ყურადღებას უკვე აღარავინ აქცევს. ამ ორ ქვეყანას შორის უფრო მნიშვნელოვანია ფინეთი, რომელიც რუსეთს ესაზღვრება. რუსეთის 15 დეკემბრის ულტიმატუმში, ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ 1997 წლის საზღვრებამდე გადავიდეს ნატო და ქვეყნები, რომლებიც 1997 წლის შემდეგ გახდნენ ალიანსის წევრები, ნატოდან გამოვიდნენ. ამის ნაცვლად, რუსები კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგინდნენ ფინეთს ნატოს წევრად.

— რუსეთის სამხედრო ძალის უძლეველობას დღეს ძალიან ბევრი მითს უწოდებს. რა გვიჩვენა უკრაინა-რუსეთის ომმა?

— ისტორია მეორდება — მთელი ცივილიზებული მსოფლიო რუსეთს ებრძვის დღეს. ამიტომ, რუსეთის გამარჯვება გამორიცხულია. არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ უკრაინა უკვე გამარჯვებულია, ჯერ არ გაუმარჯვია, ყველაზე სისხლიანი ბრძოლები, მარიუპოლი და ბუჩა მონაგონი შეიძლება იყოს, ეს წინ არის — დონბასთან ბრძოლები.

გუშინ დაიბომბა ლვოვის რკინიგზის სადგური. რუსეთი უკვე ბომბავს სარკინიგზო ხაზებს. თვითმფრინავები, ტანკები, დრონები და ა.შ. უნდა ჩაიტანონ უკრაინაში. პირველი მიზანია, რომ რუსეთმა დაიწყო უკვე სარკინიგზო-საკვანძო ხაზების დაბომბვა, რაც ვითარებას გაართულებს.

— თქვენი შეფასებით, ომის შემდეგ, მსოფლიო დღის წესრიგი როგორი იქნება, თუნდაც ევროსტრუქტურებში გაწევრების თვალსაზრისით?

— ამ ომმა დააჩქარა საქართველოს და მოლდოვას გაერთიანება, პირველ რიგში, ევროკავშირში, მაგრამ ასევე ნატოშიც. ის მორიდება, „ნატოში ვერ მიგიღებთ“ - აღარ არის, ადრე რუსეთისგან სერიოზულ საფრთხეს ვერ ხედავდნენ, დღეს სხვა რეალობაა.

რაც შეეხება ევროკავშირს, აქ გაწევრიანება ტექნიკური თვალსაზრისით, გაცილებით რთულია, ვიდრე ნატოში. მახსოვს, როდესაც პუტინი პრემიერ-მინისტრი გახდა, განაცხადა, რომ „ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანება უფრო არ მაწყობს, ვიდრე ნატოში“, რადგან ევროკავშირში გაწევრიანება ნიშნავს, რომ ეს ქვეყნები საბოლოოდ ჩამოშორდებიან რუსეთს.

ევროკავშირს ყველაზე მეტად აინტერესებს შენი სასამართლო სისტემა. ევროპელები თვლიან, რომ თუ სამართლიანი სასამართლო არ იქნება, ქვეყანა ვერასდროს გამდიდრდება და არც წესრიგი იქნება. ჩვენთვის „აქილევსის ქუსლი“ აფხაზეთი და სამაჩაბლო იმდენად შეიძლება არ იყოს, მაგრამ ის, რომ დღეს ევროკავშირს წინ უდევს ჩვენი მთავრობის განცხადება, ერთი ის, რომ ჩვენი სასამართლო სისტემა უკვე მოწინავეა მთელ ევროპაში, თუმცა, რეალობა სულ სხვაა. მთავარი ის არ არის, როგორი სისტემა გაქვს შენ აქ, არამედ ევროპელები როგორ აფასებენ ამას. სანამ ევროპელებს არ დაანახებ, ეს პროცესი რთული იქნება. უკრაინასთან ბევრ რამეზე თვალს დახუჭავენ, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში ამასთან დაკავშირებით თვალს არ დახუჭავენ.

— ვხედავთ, რომ ფინეთის განცხადებას ნატოში გაწევრების შესახებ რუსეთის მხრიდან მუქარა და თითის დაქნევა მოჰყვა. როგორი იქნება ჩვენთან დაკავშირებით ეს რეაქცია? შესაძლოა თუ არა კრემლის მიერ თითის დაქნევას გარკვეული ნაბიჯებიც მოჰყვეს?

— როდესაც საკითხი დადგება საქართველოს ნატო-ში მიღების შესახებ, თუნდაც მაპ-ის მიღების თაობაზე, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება რუსეთის როლს. ამ ომში ან რუსეთი იმარჯვებს და მთელი მსოფლიო მარცხდება, ანდა რუსეთი მარცხდება და იცვლება ისე, მის თითის დაქნევას ყურადღებას არავინ მიაქცევს.

— რაც შეეხება რუსეთში ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობასა და პერსპექტივას?

— რუსეთში უკვე არის რევოლუციური მოთხოვნები — ქვეყანა როგორი იქნება ომის შემდეგ. რუსეთი უკვე აღარ შეიძლება დასავლეთის პარტნიორი იყოს, იგი ყოველთვის უნდა განვიხილოთ, როგორც საფრთხე. რუსეთს უკვე ანგარიშს აღარ გაუწევენ. ის შეიძლება მუქარის თითის გარეშე დარჩეს, მაგრამ უკრაინასთან თუ გაიმარჯვა, შესაძლოა, 10 თითი გაუჩნდეს. შესაბამისად, მოიხსნება საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი. ყველაფერი 2-3 კვირაში გადაწყდება. დასავლეთს ფსონი დადებული აქვს დონბასის ომზე, რომ უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს ამ ომში.

ნიკო ჩოხელი

ოსი ერის კასტრაცია!

კოკოითი უკრაინაში გასაგზავნად მოხალისეებს აგროვებს!

კოკოითის ახალი მისია

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ, როგორც ე.წ. დონბასის რესპუბლიკებში ბიბილოვის სპეციალურმა წარმომადგენელმა, თავისი საქმიანობა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში იმ მოხალისეების შეგროვებით დაიწყო, რომლებსაც უკრაინაში გააგზავნიან. მისი თქმით, ის ამას მოსკოვთან კოორდინაციით აკეთებს. ბოლო დრომდე კოკოითი საჯაროდ გამოხატავდა მხარდაჭერას იმ 300-მდე ცხინვალელი ჯარისკაცის მიმართ, რომლებიც უკრაინიდან ცხინვალში თვითნებურად დაბრუნდნენ. ახლა კი მათ ომში დაბრუნებისკენ საჯაროდ მოუწოდებს. ამის შესახებ ინფორმაციას ოსური ოპოზიციური ფეისბუქგვერდები ავრცელებენ. ჯარისკაცებთან საჯარო შეხვედრის ვიდეოკადრებს თავად კოკოითიც ავრცელებს.

დე ფაქტო ექსპრეზიდენტი ედუარდ კოკოითი, დონბასში ე.წ. პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენლად დანიშვნის შემდეგ, თავის მისიას წარმოაჩენს, როგორც „რთულ ვითარებაში მყოფი ბიჭების დახმარებას“. ეს, მისი თქმით, ეხება მათ, ვინც უნებართვოდ დაბრუნდა და უკრაინაში ბრძოლაზე უარი თქვა. როგორც ცნობილია, სამასამდე ცხინვალელი მებრძოლი უკრაინის ომიდან სახლში თვითნებურად დაბრუნდა და ხმამაღლა განაცხადა, რომ რუსული არმია მათ „საზარბაზნე ხორცად“ იყენებდა. „ეხო კავკაზას“ ცნობით, კოკოითი ჯარისკაცებსა და მოხალისეებს ცხინვალის საფეხბურთო სკოლაში შეხვდა და მათ უხსნიდა, რამდენად მნიშვნელოვანია ომში დაბრუნება და უკრაინის წინააღმდეგ ბრძოლა.

„ჩვენ იმ ბიჭების საკითხების გადაჭრით დავკავდებით, რომლებიც დონეცკში იყვნენ და დაბრუნდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს იმ ადამიანების უზარმაზარი სია, რომლებსაც სურთ აღდგენა (სამსახურში) და ომში დაბრუნება.

იხ. 8 გვ.

სოფელი ღონიერია, თუ... მთავრობა გონიერია!

სოფლის მეურნეობა მთავრობისთვის უკვე ნამდვილად პრიორიტეტია! ეს უფრო გლობალური კრიზისის დამსახურებაა, რომელმაც აშკარად ცხადყო, რომ ქვეყნები სხვის იმედად ვეღარ იარსებებენ. საჭიროა შიდა რესურსების მაქსიმალური გამოყენება, თორემ საშინელი სიძვირე და მისგან გამოწვეული სურსათის დეფიციტი ნებისმიერ ქვეყანას შიმშილის პირამდე მიიყვანს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ამბობს, რომ დღესდღეობით საჭირო და აუცილებელია ქვეყანაში სტაბილური ვითარების შენარჩუნება, მოსახლეობისა და ფერმერების დახმარება. ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა განაახლოს.

„სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 1 ჰა-ზე 300 ლარით, სუბსიდიას მიიღებენ 0.25 ჰექტრიდან 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწის მესაკუთრეები, თანამესაკუთრეები და ბენეფიციარს შეეძლება, მიიღოს ეს სუბსიდია. მათ დაერიცხებათ სპეციალურ აგრობარათზე აღნიშნული დახმარება, სუბსიდია ქულების სახით და შეეძლებათ, გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო საქონლის შესასყიდად. ვფიქრობ, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება, ეს შეეხება დაახლოებით 300 000-მდე ფერმერს, პროექტის ბიუჯეტი 35 მლნ ლარს შეადგენს და ვფიქრობთ, ეს დადებით გავლენას მოახდენს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე. ამას გარდა, არა მხოლოდ მცირე მიწის მქონე, არამედ მსხვილ ფერმერებსაც ვეხმარებით, ჩვენ მათ ვუფინანსებთ საბრუნავი სახსრების აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთს 9%-ის ოდენობით ასევე, ერთწლოვანი კულტურების მოყვანის ხელშეწყობისთვის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში 22 მარტიდან დღემდე 20 მლნ ლარის სესხები არის გაცემული. ასე რომ, ჩვენ ამ მიმართულებით გავაგრძელებთ ჩვენი ფერმერების დახმარებას“, – აღნიშნა პრემიერმა.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა განსაკუთრებით აუცილებელია ერთწლიანი კულტურების მოყვანისა და მეხორბლეობის მიმართულებით. მსოფლიოში მიმდინარე ომმა და კრიზისმა, ეს ყველას თვალნათლივ დაანახვა. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო კონკრეტული გეგმით გამოდის, რომ ნათესი ფართობები და მოსავლიანობა საგრძნობლად გაიზრდოს.

„მსოფლიო ბაზრებიდან მოწყვეტილი ვერ ვიქნებით. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ქვეყანაში მარცვლეულის, ხორბლის და სხვა პროდუქტების ზრდას, რათა გავზარდოთ ქვეყანაში წარმოება. წინასწარი მონაცემებით, 2020 წელთან შედარებით ხორბლის წარმოება მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, დაახლოებით 35%-ით, რაც მნიშვნელოვანია, მაგრამ მეტი საშუალება გვაქვს, რისთვისაც კონკრეტულ მექანიზმსაც შევიმუშავებთ, რათა ხელი შევუწყოთ ქვეყანაში ხორბლის წარმოების ზრდას და მივაღწიოთ იმ მაჩვენებელს, რომ თვითუზრუნველყოფის დაახლოებით 50% მაინც დავაკმაყოფილოთ“, – განაცხადა **ოთარ შამუგიამ**.

მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, პირველ რიგში, მარცვლეულის წარმოების ზრდის ხელშეწყობისთვის, რათა ქვეყანამ სანახევროდ მაინც შეძლოს მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

„არსებულმა ვითარებამ დაგვანახა, რომ პირველადი მოხმარების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მიმართულებით უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო, სწორედ ამიტომ, აქტიურად ვმუშაობთ, პირველ რიგში, მარცვლეულის წარმოების ზრდის ხელშეწყობისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებაზე და ძალიან მალე დარგის წარმომადგენლების და მეცნიერების ჩართვით წარმოვადგენთ პროგრამას, რომელიც სტიმულს მისცემს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. შესაძლებელი იქნება, რამდენიმე წელიწადში, ქვეყანაში ხორბლის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი გავზარდოთ 15%-დან 50%-მდე და ჩვენ ამას გავაკეთებთ“, – განაცხადა **ოთარ შამუგიამ** პარლამენტში გამოსვლისას და დასძინა, რომ მთავრობა ასევე წარმოადგენს დახმარების პაკეტს, რომელიც ფერმერებს ხელს შეუწყობს პროდუქციის მოყვანისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაში.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, ფერმერებს დავუფინანსებთ საბრუნავი სახსრებისთვის აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთს. თუმცა, კარგად გვესმის, რომ კრედიტი ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი მცირემიწიანი ფერმერებისთვის და მათ საწვავზე, სასუქებზე და პესტიციდებზე ფასების ზრდის პირობებში, სჭირდებათ მხარდაჭერა. ამაზეც აქტიურად ვმუშაობთ და უახლოეს პერიოდში წარმოვადგენთ დახმარების პაკეტს, რომელიც გარკვეულწილად დაეხმარება ფერმერებს პროდუქციის მოყვანისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაში“, – დასძინა **შამუგიამ**.

მთავრობისგან წამოსულ დადებით გზავნილებს აფასებენ დარგის სპეციალისტები. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **ანზორ მესხიშვილი** დეტალურად აღწერს იმ ნაბიჯებს, რაც მარცვლეულის მოპოვებას ხელს შეუწყობს.

„წლებია ვსაუბრობ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგი უნდა იყოს მარცვლეული და აქ მხედველობაში მაქვს: ხორბალი, სიმინდი, ქერი და სხვა. თუ დარგს გონივრულად განვავითარებთ, საქართველოს ექნება შესაძლებლობა, მარცვლეულზე შიდა მოთხოვნილება 50-60%-ით დავაკმაყოფილოთ, უახლეს პერიოდში. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა სათესლე მასალის გაუმჯობესება, მოსავლიანობის გაზრდა სხვადასხვა მეთოდებით, უნდა შევამციროთ მინერალური სასუქების გამოყენება და გადავიდეთ ორგანული სასუქების გამოყენებაზე, რადგან ჩვენი ნიადაგები „განარკომანებულია“, მიჩვეულები არიან მინერალურ სასუქებს.

აუცილებელია მიწების გასარწყავიანების გაზრდა და მინდორსაცავი, ქარსაფარი ზოლების გაშენება და აღდგენა. უნდა გავზარდოთ საჰექტარო მოსავლიანობა, ამისთვის კი საჭიროა მიწების მორწყვა, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება და ახალი მეთოდების დანერგვა. ჯერჯერობით, თავი უნდა შევიკავოთ ვენახებისა და ხეხილის ბაღების გაშენებისაგან და ეს ფართობები უნდა დავუთმოთ მარცვეულ კულტურებს.

თუ ამ ყველაფერს არ გავაკეთებთ, დიდი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით.

პურის ფასი უკვე მატულობს და უარესი მოხდება მომავალ წლებში“, – განაცხადა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, გაეროს სერთიფიცირებულმა ექსპერტმა უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში ანზორ მესხიშვილმა და დასძინა, რომ **მარცვლეულის განვითარება დარგობრივ ჯაჭვს წარმოქმნის და მესაქონლეობასა და მეფრინველეობასაც დიდ დახმარებას გაუწევს.**

ᲒᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ახლა ტვირთები ჩვენს ქვეყანაზე გავლით წავა ევროპაში!

საჭიროა ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება!

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, საძართველოში სატრანზიტო დერეფანზე მოთხოვნა იზრდება. მაგალითად, ყაზახეთის მთავრობამ უკვე გადაწყვიტა, რომ ტვირთები საძართველოს გავლით შეიტანონ ძვეყანაში.

ეკონომისტი **გიორგი ცუცქირიძის** თქმით, ტვირთბრუნვაზე მოთხოვნა ათასჯერ არის გაზრდილი და ეს ბათუმისა და ფოთის პორტის მუშაობაზეც აისახა. ამიტომ საჭიროა, ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება. მისი განცხადებით, ანაკლიის პორტის მშენებლობით დაინტერესებულები არიან როგორც აზიელი, ასევე ევროპელი ინვესტორები.

— რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ, მოსალოდნელია მსოფლიოს ახალი წესრიგი მივიღოთ. ახალი გეოპოლიტიკური მდგომარეობა საქართველომ როგორ უნდა გამოიყენოს?

— რუსეთ-უკრაინას შორის არსებული ომის შედეგად მიღებული შოკი გლობალურ სივრცეში ბევრი მიმართულებით აისახა. ეს არის ნავთობზე და სასურსათო პროდუქტებზე ფასის გაზრდა, ანუ მიწოდების ჯაჭვებია გაწყვეტილი. რუსეთიც და უკრაინაც არა მხოლოდ ენერგომიმწოდებლები, არამედ მთელი რიგი პროდუქტების წამყვანი ექსპორტერები იყვნენ. ფაქტობრივად, უკრაინული პორტები ბლოკირებულია. რაც მნიშვნელოვანია, ბლოკირებულია ტრანსციმბირული მაგისტრალი, საიდანაც ტვირთები აზიიდან ევროპაში და პირიქით მოძრაობდა. ასევე ვგულისხმობ ტრანსჩინურ დერეფანსაც, რადგან ეს ძირითადი მიმწოდებელი იყო და ამ საერთაშორისო სანქციების ფონზე ჩაკეტილია.

— შეიძლება ითქვას, რომ ტვირთების გადაზიდვაზე მოთხოვნით აბრეშუმის გზა საქართველოს გავლით დაიტვირთება?

— საქართველოში აბრეშუმის გზის დერეფნის აღდგენა ხდება. იმისთვის, რომ გაზრდილი ტვირთბრუნვა გავატაროთ, შესაბამისი ინფრასტრუქტურა გვჭირდება, მათ შორის პორტებიც. არსებული პორტებით გაზრდილი ტვირთბრუნვის გადაზიდვა გაჭირდება, ამიტომ საჭიროა, ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება.

ომი მალე დასრულდება თუ არა, რუსეთს სანქციები მაინც არ მოეხსნება, ამიტომ შესაძლებლობა, რომელიც შუადერეფნის გაფართოებით გვეძლევა, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

— ანაკლიის პორტი უახლოეს მომავალში ვერ აშენდება. ამ ეტაპზე რამდენად არის შესაძლებელი, რომ ბათუმისა და ფოთის პორტებმა იმუშაონ დატვირთვით?

— ფოთი და ბათუმი ამ წუთშიც დატვირთვით მუშაობს, თუმცა ტვირთბრუნვაზე მოთხოვნა ათასჯერ არის გაზრდილი. ეს საკმარისი არაა, რადგან არსებული პორტები გაზრდილ ტვირთებს ვერ გაატარებენ. ამიტომ პარალელულად, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ ანაკლიის პორტისთვის ინვესტორის მოძიება. ანაკლია ახლა უნდა ავამოქმედოთ და დავტვირთოთ, რადგან ასეთი შანსი სხვა დროს არ გვექნება.

ანაკლიის პორტის ჩავარდნა არა ხელისუფლების, არამედ კონსორციუმის, იგივე ხაზარაძის პრობლემა იყო. საქართველოს დერეფნის ფუნქციის გაზრდის ფონზე, ანაკლიის პორტთან დაკავშირებით მთავრობისა და ინვესტორების მხრიდან მზაობა მაღალია და მინიმუმ ექვს თვეში შეგვიძლია ამ პორტის მშენებლობის დაწყება. საქართველოს დერეფნად გამოყენება მარტო აზიის კი არა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ესაჭიროებათ. ინვესტორები, როგორც აზიელები, ასევე ევროპელებიც შეიძლება იყვნენ. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი პირდაპირ ევროკავშირს ურტყამს და ტვირთების პრობლემა ევროკავშირშიც დადგა. მთავარი ეკონომიკური პრინციპი რა არის? მოთხოვნა წარმოშობს მიწოდებას. გაიზარდა ჩვენს დერეფანზე მოთხოვნა და შესაბამისად, მიწოდებაც დიდი იქნება.

— აბრეშუმის გზისა და შუალედური დერეფნის გააქტიურება გასაგებია. ასევე დასავლეთი ნელ-ნელა უარს ამბობს რუსულ გაზსა და ნავთობზე. ამის დასტურია საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის განცხადებით. მისი აღიარებით, საფრანგეთს რუსული გაზი არ სჭირდება. ამ მიმართულებით როგორ შეიძლება საქართველო გამოდგეს დერეფნად და შესაძლებელია თუ არა ამ მხრივ ბაქო-ჯეიჰანის ნავსადგურის გამოყენება?

— როდესაც დასავლეთი რუსულ გაზსა თუ ნავთობზე უარს ამბობს, ის პარალელურად, ალტერნატიულ მაგისტრალს ეძებს. ასეთი ალტერნატიული და მოკლე გზა ევროპიდან აზიაში საქართველოზე გადის. ყველა მიმართულება უნდა გავააქტიუროთ, მათ შორის უნდა გამოვიყენოთ ბაქო-ჯეიჰანის გზაც. თავისუფლად შეგვიძლია არსებული ენერგო დერეფნის გამოყენება. უბრალოდ, ამ შემთხვევაში ტვირთბრუნვა უნდა გავზარდოთ.

— თუკი საქართველო ენერგეტიკულ დერეფანს გამოიყენებს, შესაძლებელია, რომ ამ მიმართულებით რუსეთზე დამოკიდებულები აღარ ვიყოთ?

— ენერგოთვალსაზრისით, ალტერნეტივად თავისუფლად შეიძლება აზერბაიჯანი გამოვიყენოთ.

ესაუბრა
ᲥᲔᲗᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

„კომპოზიტორთა ეროვნული კონკურსი“

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ „კომპოზიტორთა ეროვნული კონკურსი“ დააფუძნა. კონკურსის შესახებ თეა წულუკიანმა გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელ ვახტანგ კახიძესთან ერთად. კონკურსს ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი ჩაატარებს.

სამინისტროს მიერ კონკურსისთვის გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 65 000 ლარს. კულტურის სამინისტროს ცნობით, მისი მიზანია ეროვნული საკომპოზიტორო ხელოვნების განვითარება და კომპოზიტორთა შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა. კონკურსი ორ წელიწადში ერთხელ გაიმართება და მასში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულე კომპოზიტორებს. წელს პირველად, კონკურსი ჩატარდება შემოდგომაზე. „კომპოზიტორთა ეროვნული კონკურსი“ ორი ასაკობრივი ჯგუფისთვის – 17-დან 25 წლის ჩათვლით ასაკის პირებისთვის და 25 წელს ზემოთ პირებისთვის ჩატარდება. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ნაწარმოები არ უნდა იყოს გამოცემული დაჰან შესრულებული კონკურსში მონაწილეობის მიღებამდე. წინაღმდეგ შემთხვევაში, განცხადება არ იქნება განხილული, ან მოიხსნება კონკურსიდან ფაქტის გამოვლენისთანავე.

„კომპოზიტორთა ეროვნული კონკურსის“ ფარგლებში მუსიკალური ნაწარმოებები შემდეგ მუსიკალურ კატეგორიებში მიიღება: 1. კამერული მუსიკის კატეგორიაში საკონკურსოდ ნაწარმოები მიიღება სოლო ინსტრუმენტისთვის; კამერული ანსამბლისთვის და კამერული ორკესტრისთვის; 2. საგუნდო-ვოკალური მუსიკის კატეგორიაში საკონკურსოდ ნაწარმოები მიიღება გუნდისთვის ან ვოკალისთვის (თანხლებით, ან თანხლების გარეშე); 3. სიმფონიური მუსიკის კატეგორიაში საკონკურსოდ ნაწარმოები მიიღება სიმფონიური ორკესტრისთვის (შესაძლებელია სოლოინსტრუმენტების, ვოკალის ან გუნდის მონაწილეობით).

კამერული მუსიკის კატეგორიაში დაწესებულია შემდეგი ფულადი პრემიები: ა) I პრემია – 2000 ლარი; ბ) II პრემია –1500 ლარი; გ) III პრემია – 1000 ლარი.

საგუნდო/ვოკალური მუსიკის კატეგორიაში დაწესებულია შემდეგი ფულადი პრემიები: ა) I პრემია – 2000 ლარი; ბ) II პრემია – 1500 ლარი; გ) III პრემია – 1000 ლარი.

სიმფონიური მუსიკის კატეგორიაში დაწესებულია შემდეგი ფულადი პრემიები: ა) I პრემია – 5000 ლარი; ბ) II პრემია – 3000 ლარი; გ) III პრემია – 2000 ლარი.

„ვინაიდან კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ნაწარმოები არ უნდა იყოს გამოცემული და/ან შესრულებული კონკურსში მონაწილეობის მიღებამდე, საკონკურსო განაცხადების მიღება კულტურის სამინისტროში დაიწყება 2022 წლის 20 სექტემბრიდან 2022 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით. ამით კომპოზიტორებს ეძლევათ საკმარისი დრო განაცხადის მოსამზადებლად.

XX-XXI საუკუნეთა ქართული ხელოვნების ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

საქართველოს ბანკი კულტურული მნიშვნელობის პროექტების ხელშეწყობას განაგრძობს. ბანკის მხარდაჭერით, საქართველოს ეროვნული გალერეა კერძო კოლექციებიდან XX-XXI საუკუნის ქართული ხელოვნების ნამუშევრების გამოფენას უმასპინძლებს. გამოფენა 22 მაისის ჩათვლით გაგრძელდება.

ხელოვნების კონსულტანტის, ლიკა ჭკუასელის კურატორობით, გამოფენაზე XX საუკუნიდან დღემდე მოღვაწე ქართველი ხელოვანების ის უნიკალური ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი, რომლებმაც ბოლო 6 წლის მანძილზე სხვადასხვა კერძო კოლექციაში დაიდო ბინა. მათ შორის: ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის, ვერა ფაღავას, კარლო კაჭარავას, მამუკა ცეცხლაძის, ლია შველიძის, თეა ჯორჯაძის, თეა გვეტაძის, სალომე მაჩაიძის, დათო მესხის თუ სხვა გამორჩეული არტისტების ნამუშევრები.

ამერიკული ჟურნალი საქართველოზე

ხელუხლებელი სათხილამურო ტრასები საქართველოს აღმოუჩენელ ზამთრის სამოთხეში, – ამერიკული სამოგზაურო ჟურნალი Lost Time **საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ სტატიას აქვეყნებს,** – ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოცემის მკითხველს საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებს ინფლუენსერი ნეიტ ლიუბი უზიარებს. ნეიტ ლიუბი საქართველოში „ციფრული დღეების“ ფარგლებში იმყოფებოდა. პროექტი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებითა და USAID-ის (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო) ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით მოეწყო. პროექტის ფარგლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ინფლუენსერებმა საქართველოს ზამთრის კურორტების შესახებ სტატიები, ისტორიები, ფოტო და ვიდეო რეპორტაჟები მოამზადეს, რომელიც სოციალურ ქსელებთან ერთად სამოგზაურო პლატფორმა შტელლერ-ის სოციალურ ქსელებსა და ვებგვერდებზე განთავსდა. Lost Time-ის სტატიაში ნეიტ ლიუბი საქართველოს სამთო კურორტების სასრიალო ტრასებს, მათ შორის ბახმაროს აღწერს. სტატიაში ავტორი სვანეთის ამსახველ ფოტომასალასაც აქვეყნებს.

„საქართველოში ისეთი სასრიალო ფერდობებია როგორსაც ისურვებ. თხილამურებით სრიალისას ისეთ რიტმში გადადიხარ, რომლის არსებობაც აქამდე არ იცოდი. სრულიად თავისუფლად ვტრიალდები მოსახვევში, აქ არ მოგიწევთ ბავშვისთვის გზის აქცევა, შუა ტრასაზე არც სნოუბორდისტს შეხვდებით, რომელიც გზაში ისვენებს. უკვე ვიაზრებ, თუ როგორი უნდა უნდა იყოს სრიალი. განსაკუთრებულად საოცარი დღეა ბახმაროში, ეს შორეული სამთო სოფელია, სადაც ისეთი დიდი თოვლია, რომ აქ მოხვედრა მხოლოდ გამწმენდი მანქანით არის შესაძლებელი. მთელი დღე მთებზე სრიალში გავატარეთ. არ მახსოვს, ბოლოს როდის ვისრიალე ასე კარგად. ფაქტობრივად, დარწმუნებული არ ვარ, რომ ოდესმე ასე ფანტასტიკურად მესრიალა. მოკლედ რომ ვთქვა, ბედნიერება – ეს საქართველოა“, – წერს ნეიტ ლიუბი. ტურიზმის ადმინისტრაციის ცნობით, ონლაინ გამოცემის Lost Time-ის გლობალური ტირაჟი მილიონს აჭარბებს.

თეა წულუკიანი: თამამად შეიძლება თქმა, რომ ბოლო 15-20 წლის განმავლობაში ხელოვნების მუზეუმს პატრონი არ ჰყოლია!

ყველაზე მეტად გვაწუხებს ხელოვნების მუზეუმის ყველაზე ძველი შენობა, რომლის ფასადიც გამოდის პუშკინის სკვერში. ის არის ცნობილი „სემინარიის“ სახელით და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 15-20 წლის განმავლობაში მას მოვლა-პატრონობა არ ჰქონია, – ამის შესახებ კულტურის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა.

– ჩვენი სამინისტროს სახელით ძალიან მადლიერი ვარ მთავრობის წევრებისა და პრემიერ-მინისტრის, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ინიციატივა - 10-მდე ობიექტი შეტანილი ყოფილიყო იმ მასშტაბური პროექტების ჩამონათვალში, რომელიც უახლოეს 3-5 წელიწადში უნდა განხორციელდეს. ამ 10 ობიექტიდან ნომერ პირველი არის ხელოვნების მუზეუმი. თქვენ იცით, რომ ის შედგება ორი კორპუსისგან. ყველაზე მეტად გვაწუხებს ყველაზე ძველი შენობა, რომლის ფასადიც გამოდის პუშკინის სკვერში.

შარშან, როდესაც ცალკე სამინისტროდ ჩამოვყალიბდით, ეს შენობა ჩაგვბარდა უმძიმეს მდგომარეობაში. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა და აღმოჩნდა, რომ გეოლოგიური, კონსტრუქციული, ჰიდროლოგიური და სხვა ტიპის კვლევების შესაბამისად, ეს შენობა არის ნგრევის პირას მისული. დამტკიცებულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც ზაფხულში დასრულდება. პრემიერის ინიციატივაში შეტანილია ამ შენობის გამაგრების პროექტი და რეაბილიტაცია. ჩვენ შარშან შევისყიდეთ გამაგრების პროექტი და გვაქვს ხარჯთაღრიცხვაც, რომელიც ამბობს, რომ იმის მიხედვით, როგორი ფასები იქნება ბაზარზე, ეს პროექტი უნდა დაჯდეს არანაკლებ 20 მილიონი ლარი. შენობა პრაქტიკულად დგას წყალზე და რამდენიმე ათეული ხიმინჯი იქნება მოსაწყობი, რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმეზე იქნება სამუშაო და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება შრომის უსაფრთხოების საკითხებიც. ჩვენი მოლოდინია, რომ შესაბამისი კომპანიები გამოგვეხმაურებიან და გვექნება სამუშაო შეხვედრები, რათა უკვე წელს დავიწყოთ ამ ძველი კორპუსის აღდგენაზე მუშაობა. რაც შეეხება მეორე კორპუსს, მისი რეაბილიტაცია უკვე ჩვენი სახსრებით დავიწყეთ. ორი სართული დასრულებულია. რეაბილიტირებულ მუზეუმში მოეწყობა 660 კვ. მ. სივრცის ლაბორატორია, როგორიც ქვეყანაში ჯერჯერობით არ არსებობს“, – ამბობს კულტურის მინისტრი.

გერმანიაში საქართველოს ელჩმა, ლევან იზორიამ კარგი წიგნი დაწერა!

ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით, საგარეო საქმეთა სამინისტროში, ლევან იზორიას წიგნის „თავისუფლება – პროცესი სამართლიანობისთვის“ პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა. მან ქართველ დიპლომატს წიგნის გამოცემა მიულოცა და ხაზი გაუსვა პუბლიკაციის შინაარსის - სამართლიანობისა და თავისუფლების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისთვის.

მისი თქმით, თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლა ქართველთა იდენტობის განუყოფელი ნაწილი და ქართველი ერის ისტორიული არჩევანის - ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მთავარი ფუნდამენტია.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა წიგნის ავტორმა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან იზორიამ. მან ვრცლად ისაუბრა წიგნის შინაარსობრივ ნაწილზე და მის მნიშვნელოვან ასპექტებზე.

ღონისძიებას საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, მოქმედი და ყოფილი დიპლომატები, ასევე პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ესწრებოდნენ.

ჯერ საქართველოს ბომბავდა, ახლა... მარიუპოლს

რუსი გენერალი სერგეი კობილაში, რომელიც მარიუპოლის დაბომბვებს ხელმძღვანელობდა, 2008 წელს საქართველოს ქალაქებს ბომბავდა. ამის შესახებ ნათქვამია უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ინფორმაციაში.

უწყებისვე ცნობით, სერგეი კობილაში წარმოშობით ოდესიდან არის. **„მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, პირველად მძიმე ბომბდამშენებით მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიის – ქალაქ მარიუპოლის ხალიჩისებური დაბომბვა, კობილაშის ხელმძღვანელეობით განხორციელდა“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში. დაზვერვის ცნობით, კობილაში მეთაურობდა რუსულ ავიაციას სირიაში, სარაკეტო დარტყმებს აყენებდა ქვეყნის ტერიტორიებს, რამაც ადგილობრივ მოსახლეობაში უდიდესი მსხვერპლი გამოიწვია. რაც საერთაშორისო საზოგადოების მიერ კვალიფიცირებული იყო, როგორც სამხედრო დანაშაული.

ის ასევე მონაწილეობდა რუსეთის აგრესიაში საქართველოს წინააღმდეგ. როგორც 368-ე მოიერიშე საავიაციო პოლკის მეთაური, კობილაში ხელმძღვანელობდა მისი დაქვემდებარების ქვეშ მყოფთა ქმედებებს და პირადად, როგორც პილოტი, ბომბავდა საქართველოს ქალაქებს. მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობისთვის პუტინმა მას „რუსეთის გმირის“ წოდება მიანიჭა. ამის გარდა, მან შეასრულა ათობით საბრძოლო გაფრენა და მონაწილეობდა ჩეჩნეთის დაბომბვებში, მათ შორის აკრძალული კასეტური და ვაკუუმური ბომბებით.

ნაციზმს გადაურჩა და... მარიუპოლში დაიღუპა

უკრაინის ქალაქ მარიუპოლის საცხოვრებელი სახლის სარდაფში გარდაცვლილი იპოვეს 91 წლის ვანდა ობიედკოვა, რომელიც წარსულში ნაცისტური გერმანიის ოკუპაციას გადაურჩა, – ამის შესახებ აუშვიცის (ოსვენციმი) მემორიალური მუზეუმი იტყობინება.

„10 წლის ასაკში ვანდა სემიონის ასული ობიედკოვა მარიუპოლის სარდაფში იმალებოდა და გადაურჩა გერმანულ ოკუპაციას, 81 წლის შემდეგ კი, იგი გარდაიცვალა იმავე ქალაქის სარდაფში, როდესაც ემალებოდა რუსეთის ჯარებს“, – წერს მუზეუმი ტვიტერზე.

ოსი ერის კასტრაცია!

(მეხუთე გვერდიდან)

ასეთი 156 ადამიანია. არიან ისეთები, ვისაც დაბრუნების გარეშე აღდგენა და სხვა ქვედანაყოფებში გადასვლა უნდათ. კიდევ ერთხელ მინდა ოფიციალურად განვაცხადო: ეს არ შეესაბამება იმ შეთანხმებებს... და მინდა ვუთხრა მათ, ვინც ცდილობს ედუარდ ჯაბეევიჩი (კოკოითის ცხინვალში ხშირად ჯაბელიჩად მოიხსენიებენ. მამას ჯაბა ერქვა) დაადანაშაულოს ყველა ცოდვაში. მე მქონდა შეთანხმებები, რომ უნდა ყოფილიყო ცალკე ოსური ბატალიონი, რუსეთის მე-4 სამხედრო ბაზის შემადგენლობაში. მინდა მივმართო ყველას, ვისაც სურს იქ წასვლა მოხალისედ, ან საკონტრაქტო ჯარისკაცად, გთხოვთ, შეიკრიბოთ ჩვენთან ერთად და დავრწმუნდეთ, რომ თუ იქ წასვლას ვაპირებთ, უნდა წავიდეთ უკვე კარგად კოორდინირებულ ფორმირებად, კარგად ორგანიზებულ ქვედანაყოფად. არ მინდა, ვინმემ ისევ „საზარბაზნე ხორცად“ გამოგიყენოთ. ძალიან მომეწონა თქვენი სიტყვები, რომ იქ საბრძოლველად წახვედით და არა სასიკვდილოდ“, – უთხრა კოკოითიმ საფეხბურთო სკოლის დარბაზში შეკრებილ ჯარისკაცებს და მოხალისეებს.

ცხინვალში კარგად ახსოვთ რამდენიმე კვირის წინ კოკოითის მიერვე გაკეთებული განცხადებები. მაშინ იგი ომში გაგზავნილ ჯარისკაცებს „საზარბაზნე ხორცს“ და დაკარგულ გენოფონდს უწოდებდა.

„ისედაც ძალიან ცოტანი დავრჩით. ჩვენ (უკვე) პრაქტიკულად დავკარგეთ გენოფონდი“, – განაცხადა მაშინ კოკოითიმ.

მსხვერპლის რაოდენობა იზრდება - „ერის კასტრაცია“

ბოლო ერთ კვირაში ცხინვალში უკრაინიდან ჩამოსვენებული ორი ჯარისკაცი დამარხეს. რუსლან კაზიევი და რუსლან ბესაევი მარიუპოლთან დაიღუპნენ. ადგილობრივ საზოგადოებაში ამ დაღუპულებისადმი დამოკიდებულება ორაზროვანია: ზოგი მათ გმირებად მიიჩნევს, ზოგი კი დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა ბიჭების ომში გაგზავნა და მათი იქ დაღუპვა, „მცირე ერის“ სიკვდილს უტოლდება. სოციალურ ქსელში ამ ფაქტს „ერის კასტრაციაც“ კი უწოდეს.

* * *

სოციალურ ქსელებში მომხდარს გამოეხმაურა ოპოზიციის ყოფილი ლიდერი ალა ჯიოევაც: მან 2011 წელს ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ კრემლის ფავორიტს ანატოლი ბიბილოვს მოუგო, მაგრამ მაშინ ადგილობრივი ხელისუფლების და კრემლის მოხელეების ჩარევით არჩევნები გააუქმეს, ჯიოევას მომხრეების წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყეს და ხელმეორე კენჭისყრა დანიშნეს, სადაც ჯიოევა და ბიბილოვი აღარ დაუშვეს. 2012 წელს დე ფაქტო პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი გახდა. 2017 წელს ბიბილოვმა დაამარცხა თიბილოვი. ალა ჯიოევა არ წყვეტს ბიბილოვის კრიტიკას. სოციალურ ქსელში მის პოსტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. **„არ მჯერა ბიბილოვის: ამის ბევრი მიზეზი მაქვს. საკუთარი არმიის განადგურების სასარგებლოდ ერთი არგუმენტის მოტანაც კი არ შეუძლიათ“,** – დაწერა ჯიოევამ და ამ პოსტის ქვეშ გამოჩნდა უამრავი კომენტარი, რომელიც საზოგადოებრივ განწყობას ნაწილობრივ ასახავს.

მაგალითად, **ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝᲕᲐ**: **„დააბრუნეთ ბიჭები სამშობლოში. ჩვენ არ ვართ მილიონები, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ათეული ათასი ვართ. ჩვენ არ შეგვიძლია გავწიროთ ჩვენი ბიჭები. შეიგნეთ, ჩვენ უკვე გადაშენების პირას ვართ. სხვა საქმეა, თუ ისინი საკუთარ მიწას დაიცავდნენ. „საზარბაზნე ხორცად“ ნუ აგზავნით უცხო მიწაზე, უფლება არ გვაქვს!!! შეაჩერეთ ჩვენი ბიჭების განადგურება. დღეს მეექვსე ბიჭს ჩამოასვენებენ!“**

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘ: ჩვენებმა იცინეს, ბიჭები რომ გამოიქცნენ. ახლა სისხლით გაძეხით! აი, ცუდი ამბავი ცუდი ამბების შემდეგ... ორიოდე სიტყვა მინდა ვუთხრა ჯაბელიჩს და ბიბილოვს: გაგზავნეთ თქვენი ვაჟები უკრაინაში... და თავი დაანებეთ ჩვენს საწყალ ბავშვებს“...

რადიო თავისუფლების წყარო ცხინვალიდან გვატყობინებს, რომ მოხალისეებისა და ჯარისკაცების შეგროვებასთან დაკავშირებით საზოგადოება უკმაყოფილოა.

„დონბასიდან დაბრუნებულ ბიჭებს მართლა დასცინოდნენ, აი, როგორ გამოიქცნენო. მათ მეოთხე ბაზაზე საკონტრაქტო სამსახურშიც პრობლემები აქვთ. ბევრს უნდა აღდგენა, მაგრამ ისე გამოდის, რომ თუ ომში არ წავლენ, ამის შანსი არა აქვთ. ეს აღიზიანებს საზოგადოებას და განსაკუთრებით იმ ბიჭების ნათესავებს. კოკოითის მიმართ კი სულ უფრო მეტი ნეგატივი გროვდება, არ გვესმის, რას ცდილობს ის ბიბილოვთან ერთად. ჯერ მის (ბიბილოვის) დამხობას აანონსებდა, ახლა მისი პარტნიორი გახდა. ორივეს უნდა, რომ კრემლს ასიამოვნონ და რის ფასად? ჩვენი ბიჭების სისხლის ფასად? ყველაფერს აკეთებენ, რომ მეორე ტურის წინ ხმების მობილიზება დაიწყონ, მაგრამ აქაურმა საზოგადოებამ პირველივე ტურში თქვა თავისი სიტყვა. მალე უნდა დამთავრდეს ეს ქაოსი“.

მოქმედი დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი კი, რომელსაც ოპონენტები ცხინვალის რეგიონიდან უკრაინაში ჯარისკაცების მასობრივ გაყვანაში ადანაშაულებენ, პასუხისმგებლობას თავიდან იცილებს და აცხადებს, რომ ჯარისკაცები, რომლებმაც რუსეთის მე-4 ბაზაზე კონტრაქტებს ხელი მოაწერეს, უშუალო ხელმძღვანელობის ბრძანებებს ასრულებენ და მას ამ საქმეში ბრალი არ მიუძღვის.

გოგა აფციაური,
„რადიო თავისუფლების“ კორესპონდენტი შიდა ქართლში.

SPACEX-ᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ **ᲘᲚᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲘ** ᲛᲐᲠᲡᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔᲖᲔ ᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲓᲐ.

„უმნიშვნელოვანესია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მარსი, განსაკუთრებით დასაწყისში, ფუფუნების მოყვარულთათვის მისაღები ადგილი არ იქნება. ის სახიფათო, შეზღუდული, რთული და მძიმე მუშაობის ადგილი იქნება“, – ამბობს მასკი TED-ის ხელმძღვანელ კრის ანდერსონთან ინტერვიუში.

მილიარდერი მარსზე ცხოვრების მოთხოვნებს 1900-იან წლებში მკვლევარ ერნესტ შეკლტონთან ერთად ანტარქტიკის ექსპედიციაში წასვლის მსურველთა მოსაძებნად განკუთვნილ რეკლამას ადარებს. შემდეგში გაირკვა, რომ ეს რეკლამა არც სინამდვილეში მითია, მაგრამ შეერთებისკენ მოუწოდებდა მამაკაცებს, რომლებსაც სახიფათო მოგზაურობაში წასვლა სურდათ, საიდან უკან უსაფრთხოდ დაბრუნებაც „საეჭვო“ იქნებოდა.

„მარსზე წასვლა სახიფათო და შეზღუდულია. შეიძლება უკან ვერც დაბრუნდეთ. რთულია, შრომატევადი“, – ამბობს მასკი.

მარსზე ცხოვრება, პლანეტაზე, რომლის საშუალო ტემპერატურაც -62,22-⁰C-ია, გაცილებით რთული იქნება, ვიდრე ანტარქტიდაზე, რეგიონში, რომელზეც საშუალო ტემპერატურა -56,67 ⁰Cს-ია.

მარსის კლდოვანი, ქვაღორღიანი ზედაპირი კანიონებით არის დაფარული. გარდა ამისა, ამ პლანეტაზე გრავიტაცია დედამიწის გრავიტაციის დაახლოებით მესამედია. თხელია ატმოსფეროც, რომელიც ადამიანებს სუნთქვისთვის არ გამოგვადგება. სპეციალური აღჭურვილობის გარეშე, წითელი პლანეტის დაბალი ატმოსფერული წნევის გამო, ადამიანი იქ რამდენიმე წუთში მოკვდება.

ილონ მასკს მარსზე სრულმასშტაბიანი ქალაქის გაშენება სურს. 2019 წელს მილიარდერი ვარაუდობდა, რომ თვითკმარი ქალაქის ასაშენებლად მილიონი ტონა ტვირთის წაღება იქნება საჭირო და მისივე შეფსებით, ეს პროცესი 100 მილიარდიდან 10 ტრილიონ დოლარამდე დაჯდება.

ᲘᲚᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲘ – ᲣᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝ

TESLA-ᲡᲐ ᲓᲐ SPACEX-ᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲚᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝᲐ. ამის შესახებ მან TED-ის კონფერენციის კურატორთან, კრის ანდერსონთან ინტერვიუში ისაუბრა. მულტიმილიარდერის განცხადებით, მას საკუთარი უძრავი ქონება არ აქვს.

„რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პრობლემა იქნებოდა, წელიწადში მილიარდობით დოლარი რომ პირადი მიზნებისთვის დამეხარჯა, მაგრამ ეს ასე არაა. არ ვთვლი, რომ ჩემი პირადი ხარჯები ძალიან მაღალია. გამონაკლისია პირადი თვითმფრინავით სარგებლობა, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოდ ნაკლები დრო მექნება“, – აცხადებს ილონ მასკი.

როგორც მილიარდერმა ანდერსონს უთხრა, იმედოვნებს, რომ ადამიანები, ვინც მარსის კოლონიზაციას მოახდენენ, გამოიყენებენ „შეცვლილი საზოგადოების“ შესაძლებლობას.

„ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია კაცობრიობის ან ცნობიერების სიცოცხლის გასახანგრძლივებლად“, – ამბობს მასკი.

მისივე განცხადებით, ადამიანის ცივილიზაცია შეიძლება დაასრულოს რაიმე გარე მიზეზმა, მაგალითად გიგანტურმა მეტეორმა, სუპერვულკანმა, კლიმატის ექსტრემალურმა ცვლილებამ, მესამე მსოფლიო ომმა ან სხვა რაიმე მიზეზმა სხვა მრავალთაგან.

მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანმა ანდერსონს უთხრა, რომ SpaceX-ი მარსის მისიის ბილეთის ფასს დაახლოებით 100 000 აშშ დოლარით განსაზღვრავს. მასკის კომპანია SpaceX-ი მარსზე თვითკმარი ქალაქის აშენებას უახლოეს ათწლეულებში გეგმავს. თუმცა, მასკი იმასაც აღნიშნავს, რომ ის უკვე დიდი ხნის მკვდარი იქნება, როდესაც მისი ოცნება ფრთებს შეისხამს.

2020 წელს მასკი იმედოვნებდა, რომ 10 წელიწადში 1000 Starship-ის რაკეტის აშენება მოხერხდება და 2050 წლისთვის მარსზე მილიონი ადამიანის გაგზავნა იქნება შესაძლებელი. მან ასევე აღნიშნა, რომ პირველი ადამიანი მარსზე შეიძლება 2029 წელს ჩავიდეს...

მომზადებულია Business Insider-ის მიხედვით.
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲭᲐᲒᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ღვთის გზაზე შემდგარი



ათი წლისა იყო **ეკა აბშილავა,** თავის ოჯახთან ერთად აფხაზეთი რომ დატოვა. კოშმარივით ახსოვს ბავშვობის ის მწარე წლები, მაგრამ ყველაზე მტკივნეული და მოუნელებელი მაინც მამაზე მოგონებაა: – ყველაზე მძაფრად რაც მახსენდება, ეს მამის საფლავის დაკარგვით გამოწვეული ტკივილია. მამის საფლავი აფხაზეთშია და არ ვიცი, ახლა რა მდგომარეობაშია. ამაზე მტკივა გული. იმ ომში რამდენმა ადამიანმა დაკარგა ახლობელი, ოჯახის წევრი... მტკიცედ მჯერა, რომ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ ადამიანთა სიცოცხლეს ვეღარავინ დააბრუნებს. ვისურვებ, ომში გარდაცვლილთა სულებს ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა.

ეკასთვის ქრისტიანობა გამარჯვებულ ომში შესვლას ჰგავს. მისი ცხოვრება ახლა მართლმადიდებლობაში ჩაღრმავებაა, რადგან, როგორც ამბობს, საკუთარ თავზე არაერთხელ გამოსცადა იესო ქრისტეს მადლი. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ადამიანს უფალზე დიდი მფარველი არ ჰყავს. „სასუფეველსა ცათასა ეძიებდეთ და დანარჩენი მოგეცემათ“ – ამ სიტყვებშიც ღრმადაა დარწმუნებული.

მისი ეკლესიური ცხოვრება იქიდან დაიწყო, როცა მეტეხის ტაძარში მამა აკაკი მელიქიძემ აკურთხა, დამლაგებელს მიეხმარეო, ამის შემდეგ კი ეკას ლექსის წერის ნიჭიც მოემადლა... ეკა ახლა ქრისტესმიერი თავმდაბლობით გვეუბნება, რომ ლექსებს უფალი აწერინებს, თვითონ კი ხელში მხოლოდ კალამი უჭირავს. ხოლო იმ ჯამს, რითაც ის ტაძარში შანდლებთან შრომობს, „მადლის კალათა“ დაარქვა, რადგან უფალი იწირავს ამ შრომას და სიკეთით კურნებას უბრუნებს უკან.

...გვახსოვს ეკას და მისი თანატოლების მხიარული, ბავშვურად უდარდელი ყიჟინა სასტუმრო „ივერიის“ საკონფერენციო დარბაზში, სადაც ჩვენ, ენთუზიასტი მასწავლებლები; ია ესვანჯია, ლია ჭიღლაძე, მარიკა დევდარიანი, ლევან მოსიაშვილი, რომლებმაც ჩამოვაყალიბეთ ლტოლვილ და უპოვარ მოზარდთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი „ოქროს საწმისი“, ვამეცადინებდით ნიჭიერ ბავშვებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ვასწავლიდით მუსიკას, ხალიჩისა და გობელენის ქსოვას, გვქონდა ბავშვთა ანსამბლი მუსიკოს ია ესვანჯიას ხელმძღვანელობით, სადაც ფრანგული საქველმოქმედო საერთაშორისო ორგანიზაციის, „ეკილიბრის“ ხელშეწყობით ქართულ და ფრანგულ ენებზე დავდგით კომპოზიტორ ელ. ექსანაშვილის საბავშვო ოპერა „ტყის ზეიმი“, რომელიც ვაჩვენეთ თბილისის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს და რომელმაც ისეთი მოწონება დაიმსახურა, საფრანგეთში, ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზეც კი მიგვიწვიეს, მაგრამ იმ შავბნელ, 90-იან წლებში საკმარისი თანხები ვერ მოვიძიეთ ფესტივალზე გასამგზავრებლად... ოპერა „ტყის ზეიმს“ ძალიან უხდებოდა ეკას ცეკვა, ამ შეუდარებელი გარეგნობის გოგონას მოხდენილობა და პლასტიკა, რომელშიც მისი სუფთა, ფაქიზი სული იკითხებოდა.

ეკა ამ საბავშვო ოპერის გამორჩეული სოლისტი იყო.

გვახსოვს ახალგაზრდა ფრანგი ქალბატონი, კლერი ფრომანტენი, „ეკილიბრის“ წარმომადგენელი, რომელიც შესვენებაზე ნუგბარს მოუტანდა ხოლმე ბავშვებს წასახემსებლად, გვახსოვს სხვა ორგანიზაციებიდან კეთილი ადამიანები, მათ დასახმარებლად მოსულნი და ჩვენი აღსაზრდელების რაღაცნაირად მორიდებული, გაუბედავი ხელის გაწოდება ამ დახმარების მისაღებად, რადგან არ იყვნენ მიჩვეულნი ასეთ ყოფას... და მათ შორისაც კი, ყველაზე ბოლოს მივიდოდა ხოლმა ეკა აბშილავა, თავისი წილი ფუნთუშის ან ხილის ასაღებად... და ჩვენ, მასწავლებლები ამას, რაღა თქმა უნდა, ვამჩნევდით, და ვცდილობდით, ეკა დახმარების გარეშე არ დარჩენილიყო...

ამიტომ აღარ გვიკვირს ეკა აბშილავას ასეთი თავმდაბლობა, მისი ხასიათის ეს უფლისმიერი თვისება, რადგან მას ფესვი ბავშვობის ღრმა შრეებში აქვს გადგმული.

ქართველების სილამაზესა და ნიჭიერებაზე არაერთ უცხოელ მკვლევარს და მოგზაურს გამოუთქვამს აღფრთოვანება, ამიტომ, ვიცი, რომ ჩვენს მკითხველს ვერავინ გააკვირვებს ჭკუით და ნიჭით, მაგრამ გავბედავთ და ახლა, აღდგომის ამ სადღესასწაულო დღეებში თქვენს წინაშე გამოვიტანთ აფხაზეთიდან დევნილი **ეკა აბშილავას** გულწრფელ ლოცვასავით თქმულ სტრიქონებს, რომელიც სწორედ სამყაროს შემოქმედის, ღმერთის მიმართაა მიძღვნილი და აქვე გულითადად მოგილოცავთ დამდეგ აღდგომას.

მამა სოგრატს

როცა ძალიან ცუდად ვიყავი, მამა სოგრატის(ჭულუხაძე) საფლავზე მივდიოდი და მას შევთხოვდი დახმარებას. მართლაც, მოხდა სასწაული და მისი სული შემეწია – ჩემი მდგომარეობა ფიზიკურად და სულიერად თანდათან გაუმჯობესდა. საბოლოოდ დავრწმუნდი, თუ რა შეუძლია რწმენას და რა დიდი ძალა აქვს ლოცვას. მამა სოგრატი დედამიწაზეც ბევრს ეხმარებოდა და ახლა ზეციური საუფლოდანაც ჩვენზე ზრუნავს – მის საფლავს კურნების საოცარი ძალა გააჩნია.

ჩემი მამა სოგრატი გულს მითბობს და მინათებს,
ზეციური ქვეყნიდან უფლის ახლოს გვიოხებს,
იგი იქცა ანგელოზად საქართველოს ზეცისა,
მოკვდა, მაგრამ მის საფლავზე ძალა სუფევს უფლისა.
შეგვეწევა, გვანუგეშებს მისი ლოცვა-ვედრება,
ის ღიმილი, რაიც ჰქონდა, უფრო გაათმაგდება,
მოილოცეთ მის საფლავზე, ლოცვა თქვენც შეგეწევათ...

ჩემი მამა სოგრატი სულს მითბობს და მინათებს,
ზეციური ქვეყნიდან ის ეშმაკზე იმარჯვებს.

მიწას ნუ მისტირი, ადამიანო
მე მირჩევნია, ვიყო ჩაგრული,
ვიდრემდე ვინმეს ვატკინო გული...
შენ რა იცი, მარტოობით
რარიგ გაბრწყინდე ზეცად!
მიწას ნუ მისტირი,
მთავარია, ღმერთი არს ჩვენთან...
მთავარი დედა ღვთისმშობელია,
რომ განაქარვებს სევდას.
ის მსწრაფლშეგისმენს, მას მოუხმეთ
მადლიერების ლოცვის აღვლენით,
ტკბილია მისი დალოცვა ქვეყნად.

მინდა, რომ ახლოს ვიყოთ ღმერთთან,
ყველაზე მეტად ზეცა განიცდის
გტკივა თუ გიჭირს,
იგი ყველაფერს ხედავს.
და ღვთისმშობელი არ დააყოვნებს
და დაგიამებს ლოცვა-ვედრებით ყველა იარას...
მაშ, ნუ განვიცდით, მოვუხმოთ დედა ღვთისმშობელს.
ქრისტეზე მეტად ვის ადარდებ?
– არავის, ქვეყნად!

მამა გაბრიელს

ჩემი მამა გაბრიელი,
მუდამ ნუგეშისმცემელი,
დღესაც ვიგრძენ მისგან შვება,
მას შევთხოვდეთ ლოცვით ყველა.

ზეციური, წმიდა სულები
მარად ჩვენთან არიან,
შენ არ იგრძნო თავი მარტო,
უფალია ჩვენთან ახლოს.

მადლობა მამა გაბრიელს,
ზეცით უფლის შემსმენელს.
უდიდესი წმინდანი გვყავს,
სიყვარულით გვიმზერს ყველას.

დიდება, დიდება უფალს,
მადლი და წყალობა ჩვენ!
კიდევ ერთხელ შენ მიხსენი,
ჩემო მამა გაბრიელ...

ქრისტესმიერი სიყვარულით გვიყვარდეს, ქართველებო, ერთმანეთი!

ლია ჭიღლაძე, ია ესვანჯია.



პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები შეიცვალა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველ კლასში რეგისტრაციისა და სკოლაში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები შეიცვალა.

რეგისტრაციის პირველი ეტაპის მიმდინარეობისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ შევიდა ცვლილება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით **2022-2023 სასწავლო წელს პირველ კლასში დამატებით უნდა განხორციელდეს იმ ბავშვების ჩარიცხვა, რომელთაც 6 წელი 16 სექტემბრიდან 1-ელ ოქტომბრამდე შეუსრულდებათ.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 4 მარტის №221866 ბრძანების მისედვით პირველკლასელთა რეგისტრაციისა და სკოლაში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები შემდეგნაირად განისაზღვრა:

I ეტაპი განხორციელდება 2022 წლის 20 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით. ამ პერიოდში სკოლებში დამატებით რეგისტრაციის შესაძლებლობა მიეცემათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს, რომლებიც რეგისტრაციის პირველი ეტაპისთვის თავდაპირველად განსაზღვრულ ვადებში ვერ დარეგისტრირდნენ სკოლებში.

I ეტაპზე დასარეგისტრირებელი ბავშვების მშობლებმა განცხადებით უნდა მიმართონ სასურველ საჯარო სკოლას. სკოლის ადმინისტრაცია ბავშვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაარეგისტრირებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით, მშობელი სკოლაში შესაბამის მიმართვის ფორმას ავსებს, რის შემდეგაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ბავშვის შეფასება და მისი საგანმანათლებლო საჭიროების დადგენა მოხდება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლის ჩარიცხვას შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოფს. პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული ბავშვების მშობლები სკოლებში დოკუმენტების წარდგენას 2022 წლის 29 აპრილიდან 2022 წლის 6 მაისის ჩათვლით შეძლებენ.

იმ ბავშვების მშობლებს, რომლებსაც არ დაუდასტურდებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, საშუალება ექნებათ ბავშვების რეგისტრაცია მომდევნო ეტაპებზე განახორციელონ.

ეროვნულ არქივში ყოფილი პატიმრების, პრობაციონერებისა და შშმ პირების ერთობლივი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა

საგამოფენო სივრცეში სააღდგომო თემატიკის ნაკეთობებია წარდგენილი. გამოფენილი ნამუშევრების გაყიდვიდან შესული თანხა ხის სოციალური საწარმოს განვითარებას და მისთვის სამუშაო მასალების შეძენას მოხმარდება.

ხის სოციალურ საწარმოში დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბენეფიციარები შშმ პირებთან ერთად მუშაობენ და განმავითარებელ სათამაშოებს ქმნიან.

ეროვნულ არქივში სააღდგომო გამოფენა-გაყიდვის გახსნას იუსტიციის მინისტრის მოადგილეები თორნიკე ჭეიშვილი, ბუბა ლომუაშვილი, ერეკლე ღვინიანიძე, სამინისტროს სისტემის საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

◎ ოვალური ბურთი

მრავალი წახნაგი

პირველი ქართული ფრანჩაიზი „შავი ლომი“, რომელიც ძირითადად ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეებითაა დაკომპლექტებული, ახლოსაა პირველ ტიტულთან.

აღსანიშნავია, რომ ევროპის სუპერთასის გათამაშების ფინალური მატჩი პორტუგალიაში იქაურ „ლუზიტანუშთან“ 8 მაისს გაიმართება, ეს დღე კი, მოგეხსენებათ, ძველ სამყაროში, ჩვენთან დაწესებული 9 მაისისგან განსხვავებით, გამარჯვების დღედ ითვლება. ასე რომ, მოახლოებულ ბრძოლას ორმაგი დატვირთვა აქვს.

რაც შეეხება თბილისში ესპანურ „იბერიანზთან“ მძიმე ბრძოლაში მოგებულ ნახევარფინალს – 43:40, მოვლენათა ასეთი განვითარება მოსალოდნელიც გახლდათ, რადგან ჩვენი გუნდი, მოგეხსენებათ, ქარის თასზეც ასპარეზობს და სამხრეთ აფრიკიდან ხანგრძლივმა მგზავრობამ, ბუნებრივია, ძალების აღსადგენად ბიჭებს მცირე დრო დაუტოვა.

სხვათა შორის, ფინალამდე ისინი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთა სამშობლოში დაბრუნდებიან, სადაც სადებიუტო ტურნირის მორიგ შეხვედრას გამართავენ და სატიტულო ჯახზე იქიდან ჩავლენ.

„შავი ლომი“ (15-9): ხმალაძე (მოდებაძე), ტაბუცაძე, თაფლაძე, შარიქაძე, თოდუა, გ. ბაბუნაშვილი, პერანიძე (ბეგაძე); (1-8): აბულაძე (ქადარია), მამუკაშვილი (მ. ბაბუნაშვილი), ხატიაშვილი (პერტაია), ჭეიშვილი (ლომიძე), ჯაიანი, აფციაური (აქუბარდია), მამამთავრიშვილი, ივანიშვილი (ზამთარაძე).

ლელოები: აფციაური, შარიქაძე, ხმალაძე, მამუკაშვილი (2), ლომიძე და საჯარიმო ლელო. **გარდასახვა:** გ. ბაბუნაშვილი (3).

მატჩის საუკეთესო მოთამაშე: **შალვა მამუკაშვილი.**

სამწუხაროდ, ტრავმები მიიღეს მესამეხაზელებმა – **ნიკო აფციაურმა** და **ლუკა ივანიშვილმა**, ამიტომ ჯერჯერობით გაურკვეველია, გაჰყვებიან თუ არა ისინი პარტნიორებს მორიგ მომქანცველ ტურნეში.

ამასობაში ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გამოვლინდნენ დიდი 10-ის გათამაშების პლეი-ოფის მონაწილენი, რომელთა ვინაობასაც პირადი მონაგრისა და სატურნირო ცხრილში შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად გაუწყებთ: „ბათუმი“ – 77, „ყოჩები“ – 50, „ლელო“ – 49, „აკადემია“ – 46, „ხარები“ – 45, „აია“ – 44, „არესი“ – 30, „ლოკომოტივი“ – 29 ქულა.

დავძენთ, რომ მომავალ სეზონს პირველ ლიგაში გაატარებს ბოლოადგილოსანი კიკეთის „იუნკერები“ (10 ქულა), ხოლო მეცხრე პოზიციაზე დამკვიდრებული სტეფანწმინდის „ყაზბეგი“ ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად მეორე დივიზიონის რჩეულთან გამართავს გადათამაშებას.

და ბოლოს: საფრანგეთში მოთამაშე „ბორჯღალოსანთა“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ბექა გორგაძემ** სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი წამყვანი ლიგის ბინადართან.

ქართველი მესამეხაზელის კლუბი „პო“ სატურნირო ცხრილში 49 ქულით ჯერჯერობით მე-10 პოზიციაზეა და პლეი-ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს.

◎ პატივი

ზემოთ და ზემოთ...

ნოდარ ახალკაცი უმცროსი ფიფა-ში დააწინაურეს და ამიერიდან უფრო მნიშვნელოვანი და მასშტაბური სამსახური ჩააბარეს – ინფორმაციას ფიფა-ს ოფიციალური გვერდი ავრცელებს.

ლეგენდარული ქართველი მწვრთნელისა და დამოუკიდებელი ქართული ფედერაციის პირველი პრეზიდენტის შვილი ბოლო წლებში იყო ფიფა-ს ევროპის წევრი ასოციაციების დირექტორი. ამიერიდან კი მას აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ელხან მამედოვი ჩაანაცვლებს.

„მამედოვი თანამდებობაზე დაინიშნა ნოდარ ახალკაცის ნაცვლად, რომელიც პოსტს ათავისუფლებს, რადგან ფიფა-ს სტრატეგიული პროექტების დირექტორი და წევრი ასოციაციების ხელმძღვანელი გახდა“, – წერია ცნობაში.

ახალკაცი ძველ თანამდებობაზეც ფიფა-ს პროგრამა „ფორვარდის“ პროგრამის ევროპაში განხორციელების სტრატეგიაზე იყო პასუხისმგებელი და აანალიზებდა ფიფა-ს 55 ევროპული წევრი ასოციაციის განვითარების პროექტების სპეციფიკურ მოთხოვნებს. ახლა მისი როლი ბევრად გაიზარდა და შვეიცარიაში ფიფა-ს ოფისის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა. მსგავს თანამდებობაზე აქამდე ქართველ მენეჯერს არასოდეს უმუშავია. ნოდარ ახალკაცი ჯერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო განყოფილებაში, ხოლო 2005-2009 წლებში სფფ-ის პრეზიდენტად მოღვაწეობდა. იგი თავიდან საქმიანობდა უეფა-ს კომიტეტებში, შემდეგ კი ფიფა-ში, სადაც აღმასრულებელი საბჭოს გენერალური მდივანი იყო, ხოლო 2018 წელს მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდათ.

◎ ნდობა

საძარმოველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ყოფილი თავკაცი და ამჟამად პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი დავით ძევხიშვილი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ახალი ტექნოლოგიებისა და მაღალი მიღწევების კომისიის დირექტორად დაინიშნა.

ტატამის სახელოვანი ოსტატის ახალი გამოწვევის დასახელებაც მოწმობს იმ დიდ ნდობას, რაც ჩვენს თანამემამულეს გამოუცხადეს სპორტულ სამყაროში ძიუდოს განვითარებაში წვლილის შესატანად.

„ამიერიდან გავლენიანი კომისიის ხელმძღვანელი იქ.ნება დავით ქევხიშვილი საქართველოდან, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს, როგორც ათლეტს, მწვრთნელსა და მენეჯერს“ – ვკითხულობთ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ვებ-გვერდზე.

◎ შეუდრეკელი

ხალიჩაზეც, ცხოვრებაშიც...

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, საქართველოს ნამარტვილარი სხეულიდან მკერდმოჭრილი ზღვისპირეთის მკვიდრ ლუკა (ელდარ) კურტანიძეს სამშობლო სტკივა, თორემ აფხაზეთში მამის უგზოუკვლოდ დამკარგავ საამაყო შვილს ერი და ბერი ღირსეულად მიულოცავდა საიუბილეო თარიღს.

დიახ, ხალიჩის დიდოსტატი და ყოველგვარ უკეთურობასთან შეურიგებელი მამულიშვილი ნახევარი საუკუნისა მოყრილა, ამიტომ მოდით ჩვენ ვეცადოთ დამსახურებული სტრიქონები მივუძღვნათ თანამედროვე ქართველ რაინდს – მადლიერების გამოხატვა ხომ არასდროს არის გვიან.

მაშ ასე, მრავალშვილიანი გმირი მამისა და სამაგალითო მეოჯახის სადარბაზო ბარათი, რომელიც უპირველესად 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირის გოლგოთის ღამის გაუტეხლობის სიმბოლოობით აღზევდა სახელოვან წინაპართა ჭეშმარიტ შთამომავლამდე:

ოლიმპიადაზე – ორი „ბრინჯაო“; **მსოფლიოს ჩემპიონატებზე** – ორი „ოქრო“, ორი „ვერცხლი“ და ერთი „ბრინჯაო“; **ევროპის ჩემპიონატებზე** – ხუთი „ოქრო“, სამი „ვერცხლი“ და ორი „ბრინჯაო“.

ახალგაზრდებში კონტინენტის ჩემპიონი მრავალი პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და ქვეყნის სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენია. ვახტანგ გორგასლის მეორე და მესამე ხარისხის, აგრეთვე ღირსების ორდენების კავალერი სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და საქართველოს ოლიმპიელთა ასოციაციის პრეზიდენტი გახლავთ. ალბათ, სიმბოლურიცაა, გამოჩენილმა ფალავანმა მთელი ეპოქა თავისუფალ ჭიდაობაში რომ შექმნა, რამეთუ სწორედ მისებრ თავისუფალი სულის ტრფიალი დიდი პიროვნება თუ შეებმებოდა ვაჟკაცურად ბნელეთის მოცილულ სააკაშვილის ტირანიას და მისი რეჟიმის დასასრულს ლიხსიქეთიდან ლიხსაქეთამდე ფეხებზე ჯაჭვებშებმული გადალახვით დააჩქარებდა.

50 წლის ლუკა (ელდარ) კურტანიძეს ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულსაც ვულოცავთ!

„სრ“ სპორტის რედაქცია.

◎ არის, ასრულდა!

ნავსი გავჭეხეთ

ჩემპიონობა ლიგის რეგულარული სეზონის ბოლოსწინა ტურში სიკვდილის ჯგუფის აუტსაიდერმა თბილისის „დინამომ“ პირველი გამარჯვება სპლიტის „იადრანთან“ მოიპოვა – 12:11, რითაც რევანში აიღო პირველ წრეში ხორვატეთში დამარცხებისთვის – 13:15.

ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ორგზისა და ყოფილი იუგოსლავიის ცხრაგზის ტრიუმფატორთან 3-3 ბურთი **სარიჩმა** და **იმნაიშვილმა** გაიტანეს, დუბლის ავტორმა **ბითაძემ** კი გადამწყვეტი გოლით მრისხანე მეტოქესთან უკანასკნელ წამებზე გათამაშებული ლამაზი კომბინაცია დააგვირგვინა.

ქართული კლუბი წლევანდელ ბატალიებს 11 მაისს შინ პირეოსის „ოლიმპიაკოსთან“ მატჩით დახურავს. **„დინამო“: შუბლაძე, ქავთარაძე, დადვანი, ძიხნიარენკა (1), ბითაძე (2), ელაჩა (გუნდის კაპიტანი, 1), ადეიშვილი, სარიჩი (3), იმნაიშვილი (3), მაგრაქველიძე, ვასიჩი (2), ტყეშელაშვილი, გვეტაძე.**

◎ კავკასიური...

ტიტული ტიტულია!

ზომს შეიძლება გაეცინოს, მაგრამ ქართული კლუბი „მეგა“ სომხური პროექტის – კავკასიის საკალათბურთო ლიგის გამარჯვებული გახდა, რასაც მომავალ წარმატებათა სურვილით ვულოცავთ!

მეზობელთა რვაგუნდიან ტურნირში **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის** შეგირდებთან ერთად ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას თელავის „ბურჯი“ იცავდა, რომელიც, სხვათა შორის, გასული საუკუნის საბედისწერო 90-იან: წლებში გამართული პირველი ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია.

რაც შეეხება უშუალოდ რეგულარულ ჩემპიონატს, იგი ოქტომბერ-მარტში მიმდინარეობდა და ერთ-ერთ ტურს თბილისის ოლიმპიურმა სასახლემაც უმასპინძლა. მომავალმა ჩემპიონმა იგი 19 მოგებითა და 2 წაგებით დაასრულა, ოთხთა ფინალის სტარტზე კი ჯერ „ნიუ ბაიაზეთს“ სძლია – 87:67, ხოლო სატიტულო ბრძოლაში ერევანში კიდევ ერთი სომხური კლუბი „ვახანი სიტი“ დაამარცხა – 82:68.

დავძენთ, რომ დასკვნითი აკორდის გმირი – **ოთარ ბულიავა** (26 ქულა) ოთხთა ფინალის საუკეთესო მოთამაშედ (MVP) დასახელდა.

◎ სირაჟლემას პოზაში

ვითომც აქ არაფერიო...

აზიური ფეხბურთის მმართველი ორგანო რომ ერთგვარ თავშესაფარს წარმოადგენს, ახლო წარსულის მაგალითიც ადასტურებს, როცა იქ ავსტრალიელები გადაბარგდნენ და უკვე რამდენჯერმე მოასწრეს მსოფლიოს ჩემპიონატებზე უპრობლემოდ გასვლა.

მართალია, ყატარის წლევანდელ მუნდიალზე მწვანე კონტინენტის წარმომადგენელთა მოხვედრა ჯერაც სათუოა, მაგრამ მათ რუსეთის პრემიერ-ლიგის საუკეთესო კლუბების სახით მიმბაძველები უკვე გამოუჩნდნენ.

დიახ, ისინი აზიის ჩემპიონთა ლიგაში შეძლებენ თამაშს და როგორც იქაური პრესა იუწყება, უკრაინასთან დამპყრობლურ ომში ჩაბმული რუსეთის საფეხბურთო კავშირი ასეთ ვარიანტს 2022-2023 წლების ჩემპიონატის პროექტის შედგენისას განიხილავს.

ირკვევა ისიც, რომ მომავალი სეზონი ჩრდილოეთში გარდამავალი იქნება, რადგან იქ გაისად გაზაფხული-შემოდგომის სისტემაზე აპირებენ გადასვლას. რაც შეეხება ექსპერიმენტული ტურნირის თარიღს, იგი 25 ივნისიდან 20 ნოემბრამდე გასტანს და მისი პირველ-მეორეადგილოსნები აზიის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის საგზურებს მოიპოვებენ.

სვეტიცხოველში დავანებული ქრისტეს კვართის მადლი შეგეწიოთ!

– მსოფლიოში დაახლოებით 7 ათასი ენაა და მხოლოდ თოთხმეტი ანბანი, რომელთაგან ერთ-ერთი ქართულია;

– ქართული დამწერლობა 3 ათასზე მეტ წელს ითვლის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ კი მსოფლიო კლასიკის შედევრადაა აღიარებული;

– საქართველო უძველესი ევროპელების – ზეზვასა და მზიას სამშობლოა, რომელთა ასაკი 1,8 მილიონი წელია. ზეზვასა და მზიას ადამიანის სახეობას მეცნიერებმა სახელწოდება „ჰომო გეორგიკუსი“ („კაცი ქართველი“) მიანიჭეს და დაამტკიცეს, რომ ესაა აფრიკაში ნაპოვნი ადამიანის სახეობის შემდეგ უძველესი. ამის საფუძველზე მტკიცდება, რომ ევროპული ცივილიზაცია სათავეს სწორედ საქართველოში იღებს;

– საქართველო მსოფლიოში პირველი ძაფის სამშობლოა: ის ადამიანმა დაახლოებით 34 ათასი წლის წინათ, ზედა პალეოლითის ეპოქაში, დღევანდელი დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე მოიგონა. ამ ძაფის მიგნებამდე, მსოფლიოში უძველესად ჩეხეთში ნაპოვნი ჭინჭრის ძაფი ითვლებოდა, მაგრამ 2007 წელს აღმოჩენილი ქართული სელის ძაფი მასზე 5 ათასი წლით ძველი აღმოჩნდა;

– საქართველო ოქროს წარმოების სამშობლოა – ჩვენებური უძველესი ოქროს საბადოები 6 ათასზე მეტ წელს ითვლიან. თბილისიდან 50 კილომეტრის მოშორებით აღმოჩენილი უძველესი ოქროს საბადოები ძველ წელთაღრიცხვამდე IV ათასწლეულით თარიღდება და ის ძველ ეგვიპტურ საბადოებზე უფრო ადრინდელია;

– ქართული მეტალურგია და სამჭედლო ხელობა 5 ათას წელს ითვლის, რასაც აღმოჩენილი არტეფაქტები მოწმობენ. როცა ლაპარაკია მეტალურგიის წარმოშობის ადგილზე, არქეოლოგები ბუნდოვნად ასახელებენ წინა აზიასა და ინდოეთს, სადაც ახალ წელთაღრიცხვამდე II-I ათასწლეულთა მიჯნაზე რკინის ნაკეთობების გამოყენება უკვე საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. თუმცა კი ბიბლიაში ერთმნიშვნელოვნადაა ნათქვამი, რომ მეტალურგიისა და სამჭედლო საქმის გამომგონებლები ჩუბალთა ძველქართული ტომის წარმომადგენლები იყვნენ და ეს შემდგომ იყო, რომ ქართველ ოსტატთა რჩეული ნაწარმი ასირიაში, მესოპოტამიაში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში მოხვდა;

– მოსალოდნელია, რომ ძალიან მოკლე ხანში, ღვინის დარად, საქართველო თაფლის სამშობლოდაც აღიარონ. ქალაქ ბორჯომის მახლობლად არქეოლოგებმა თაფლის ნარჩენებიანი ჭურჭელი აღმოაჩინეს, რომლის ასაკია 5,5 ათასი წელი, რომელიც, სულ მცირე, 2 ათასი წლით უფრო ძველია, ვიდრე ეგვიპტის ფარაონ ტუტანჰამონის აკლდამაშია ნაპოვნი;

– ქართული ხალხური ფოლკლორი, მრავალხმიანი სიმღერა 2001 წელს იუნესკომ მსოფლიო არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა. 1977 წელს ქართული პოლიფონიის შედევრი „ჩაკრულო“ ილია ზაქაიძისა და როსტომ საგინაშვილის შესრულებით, ამერიკელებმა კოსმოსში გაუშვეს დედამიწისა და ადამიანთა ცივილიზაციის შესახებ სხვა ცნობებთან ერთად;

– ქართულ ხალხურ ცეკვებს მრავალი საუკუნის ისტორია აქვთ, ჩვენი ეროვნული ქორეოგრაფია კი მსოფლიოში საუკეთესოდაა აღიარებული;

– საქართველო მეღვინეობის სამშობლოა, სადაც ვაზის 600-ზე მეტი ჯიში ხარობს. საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI ათასწლეულით დათარიღებული თიხის ჭურჭელი, რომელშიც ყურძნის წიპწა იყო შემორჩენილი. ღვინის წარმოების ქართული ქვევრის წესი კი იუნესკოს მიერ მსოფლიოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი;

– საქართველო მარცვლეულის სამშობლოა. მსოფლიოში არსებობს მარცვლეულის 27 ჯიში, რომელთაგან 14 ქართულია;

– ქართული სამზარეულო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. კერძებისა და სასმელების უმეტესი ნაწილი ძველქართულ სახელმწიფოებში კოლხეთში – ეგრისსა და დიაოხშია მოგონილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულში, რის შემდგომ ისინი, ფაქტობრივად, არ შეცვლილან. კერძოდ, დიაოხურია შოთი პური, ხინკალი, ხარჩოს წვნიანი, ჩურჩხელა; კოლხური კი – ყველი, სულგუნი, ხაჭაპური, საცივი, ნაირ-ნაირი მწნილები. მსოფლიო მნიშვნელობის ზოგიერთი სურსათი პროტოქართული ცნობების მიერაა შექმნილი, კერძოდ, თაფლი, ყველი და ღვინო. ბევრი ქართული კერძი, მათ შორის ისეთი, როგორიცაა წიწილა ტაბაკი, ხარჩოს წვნიანი, ხაჭაპური დღესდღეობით ფართოდაა ცნობილი მთელ მსოფლიოში და, ფაქტობრივად, ინტერნაციონალური გახდა;

– საქართველოში მინერალური წყლების ათასზე მეტი სახეობაა;

– ძნელია მსოფლიოში საქართველოსნაირი მეორე ქვეყნის მოძებნა, სადაც უდაბნოცაა, ტროპიკული ტყეც, ზღვის სანაპიროც და მთების დათოვლილი მწვერვალებიც;

– ცნობილმა ბრიტანულმა გამომცემლობამ „დეილი ტელეგრაფმა“, მსოფლიოს ათი უჩვეულო ადგილის ნუსხა დაასახელა, რომელთა შორის კახეთიცაა;

– საქართველო შედის მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციების ათეულში. ამ უაღრესად პრესტიჟულ რეიტინგში მომდევნო პოზიციებზე არიან ჩინეთი, ძველი რომი, ინდოეთი, სპარსეთი და სხვა;

– მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ონლაინ-კითხვარის „თოფ თენზის“ ვერსიით, მეფე დავით აღმაშენებელი ყველა დროის რჩეულ მხედართმთავართა ჩამონათვალის პირველ ნომრადაა დასახელებული. ამ ნუსხაში მეორე ადგილზე ალექსანდრე მაკედონელია, მესამეზე – ვიეტნამელი მხედართმთავარი ჩან ჰინგ დაო, რომელსაც მოსდევს ნაპოლეონ I ბონაპარტე;

– ბოტანიკოსთა დასკვნით, საქართველოში მცენარეთა 4200 სახეობა ხარობს, რომელთა შორის 22% ენდემურია, ანუ მხოლოდ ჩვენში იზრდება;

– ქრისტეს კვართი მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში ინახება.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღე

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ და საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეს ულოცავს საქართველოს ყველა გამომგონებელს, რაციონალიზატორს და განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობენ და თავისი კრეატიულობით ხვალინდელ დღეს უკეთესობისკენ ცვლიან.

ნინო ჩიქოვანი,
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე

სანთელი

პროფესორი მიხეილ ოქროსაშვილი

ქართულმა საინჟინრო საზოგადოებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ოქროსაშვილი.

პროფესორმა მიხეილ ოქროსაშვილმა წარუშლელი კვალი დატოვა მეცნიერებაში, კერძოდ კი ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა მასალათმცოდნეობა. იგი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1973 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. დიდი წვლილი შეიტანა „მასალათმცოდნეობაში“ ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების, ლაბორატორიული სამუშაოებისა და მეთოდური მითითებების შექმნაში. მის კალამს ეკუთვნის: „მეტალოგრაფია“ (თეორიული ნაწილი); „მეტალოგრაფია“ (კვლევის მეთოდები და ლაბორატორიული სამუშაოები); „მასალათმცოდნეობა“; „ფიზიკური ლითონმცოდნეობა“ (დოქტორანტებისთვის); „ელექტრონულ-სხივური ტექნოლოგიები“, „მეცნიერული კვლევის საფუძვლები“ (მაგისტრანტებისთვის); „ლითონმცოდნეობის საფუძვლები დამწყებთათვის“ (დამხმარე სახელმძღვანელო); „ფერადი ლითონები და შენადნობები“.

2011 წლიდან 2019 წლამდე როგორც ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მასალათმცოდნეობა“ ხელმძღვანელმა დიდი წვლილი შეიტანა პროგრამის სრულყოფილ ჩამოყალიბებაში. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ პროგრამამ 2021 წელს მიიღო შვიდწლიანი აკრედიტაცია.

პროფესორი მიხეილ ოქროსაშვილი საქართველოში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ნანოტექნოლოგიებში. მისი ხელმძღვანელობით ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ პირველად იქნა შემუშავებული ელექტრონული სხივით ლითონის აორთქლებისა და ორთქლის ნაკადის შემდგომი კონდენსაციის გზით რენტგენოსტრუქტურულად ამორფული, ნანოკრისტალური აგებულების ფხვნილთა მიღების ტექნოლოგია (ნანომეტრული განზომილების ფხვნილთა მიღების ხერხი. პატენტი P 4876, საქართველო, 2006 წ.), მიღებული ნიმუშები დემონსტრირებული იყო საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე ქ. ჰანოვერში (გერმანია). 2007 წელს ჩატარებული თეორიული კვლევებიდან აღსანიშნავია ორთქლის ნაკადის კონდენსაციისა და რეაქტიული დიფუზიის მიმდინარეობის გზით ფაზათა წარმოქმნის მექანიზმები; მოწვის დროს მიმდინარე გარდაქმნები არაწონასწორულ კონდენსირებულ ფირებში; ფუძეშრის ზედაპირის ბუნების გავლენა კონდენსატის სტრუქტურასა და ფაზურ შედგენილობაზე. მიღებული შედეგები მოხსენიებული და გამოქვეყნებულია საერთაშორისო კონფერენციებზე ქ. სიეტლში (აშშ, 2006 წ), ქ. ჰანოვერში (გერმანია, 2007 წ), ქ. ტულუზაში (საფრანგეთი, 2007 წ), ქ. ზაკოპანეში (პოლონეთი, 2019 წ);

2005 წლიდან სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ძირითადი შემსრულებლის სტატუსით მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ისეთ ექვს საერთაშორისო საგრანტო პროგრამების და პროექტების შესრულებაში, როგორიცაა CRDF, STCU, „POEMA“.

მიხეილ ოქროსაშვილმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში გამოაქვეყნა 55-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მიღებული აქვს 5 პატენტი, მონაწილეობა მიიღო 19 საერთაშორისო კონფერენციასა და ფორუმში.

1990 წელს მიიღო ნიკოლოზ ქაშაკაშვილის პრემია, ხოლო 2018 წელს, როგორც ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი დაჯილდოვდა სტუ-ს საპატიო დიპლომით. პროფესორი მიხეილ ოქროსაშვილი გატაცებული იყო პოეზიითაც. მისი ლექსები გამსჭვალულია დიდი სიყვარულითა და სათნოებით.

მიხეილ ოქროსაშვილი გახლდათ გულისხმიერი მეგობარი, ღვთისმოსავი და საოცრად თავმდაბალი პიროვნება.

საუკუნოდ იყოს მისი სახელი ხსენებული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

დიდუბის პანთეონი

ბადრი ქუთათელაძეს, ოთარ ჭითანავას

მე დღეს დიდუბის პანთეონი შემოვიარე,
ვინც კი მიყვარდა, ვინც კი მიყვარს, ყველა აქ არი —
ქართულ ვნებათა ნასოფლარი, ნაქალაქარი
ვნახე და ჩუმად მივეფერე სულის იარებს.
აქ არ ვყოფილვარ, ღმერთმა უწყის, რამდენი წელი,
როგორ გაზრდილა, სამწუხაროდ, ეს არემარე,
გაცოცხლდა ძველი ტკივილები, მკერდქვეშ მოვლემარე
და უნებურად მომეძალა ფიქრები მწველი.
რა სახელები, რა გვარები, რა წარსულები!
მთელ საქართველოს რომ ეყოფა ნუგეშად, განძად.
ირხევა თითქოს კოსმოსისკენ აჭრილი ანძა
და ლაჟვარდებში დაფრინავენ სათნო სულები.
მშვიდობა შენდა, სავანეო ჩვენი დიდების,
სად ყოველ ლოდქვეშ მარადისი ნათელი სუფევს.
მე ამევსება სიხარულის ცრემლებით უპე
და ჩამავალ მზის ბოლო სხივებს გავეკიდები.

რაულ ჩილაჩავა,
1 აპრილი, 2022, თბილისი

ელისაბედ მეორე 96 წლის გახდა

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალი ელისაბედ მეორე 96 წლის გახდა.

მონარქის დაბადების დღესთან დაკავშირებით, ბუკინგემის სასახლე სოციალურ ქსელში 1928 წელს გადაღებულ, ორი წლის პრინცესა ელისაბედის ფოტოს აქვეყნებს. **„გილოცავთ დაბადების დღეს თქვენო უდიდებულესობავ! დღეს, როდესაც დედოფალი 96 წლის ხდება, ჩვენ გიზიარებთ 2 წლის პრინცესა ელისაბედის ფოტოს. 1928 წელს არავინ ელოდა, რომ ის დედოფალი გახდებოდა, წელს კი მისი უდიდებულესობა აღნიშნავს პლატინის იუბილეს — პირველი ბრიტანეთის ისტორიაში“,** — ნათქვამია შეტყობინებაში. დედოფალი ელისაბედი დაბადების დღეს სანდრინგემის მამულში, ნორფოლკის საგრაფოში აღნიშნავს.

ებრაული და ქართული წარწერები თბილისის ავტობუსებზე

ისრაელის ელჩი საქართველოში, რან გიდორი Facebook-ის გვერდზე ფოტოებს აქვეყნებს, რომლებზეც საზოგადოებრივი ტრანსპორტი — ავტობუსები და მათზე განთავსებული წარწერებია ასახული.

„აღდგომისა და ფესახის დღესასწაულებთან დაკავშირებით, ისრაელის საელჩო საქართველოში ახალ კამპანიას იწყებს, რომლის მიზანია თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მეშვეობით ხაზი გაუსვას 2 უძველეს ენას, ებრაულსა და ქართულს შორის მჭიდრო კავშირს“, — წერს რან გიდორი.

სურსათზე ფასების ზრდის გამო მსოფლიოს კატასტროფა ემუქრება

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შედეგად წარმოქმნილი სასურსათო კრიზისის გამო, მსოფლიოს კატასტროფა ემუქრება, — ამის შესახებ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა დევიდ მალპასმა BBC-თან ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, სურსათზე ფასების რეკორდული ზრდის გამო ასობით მილიონი ადამიანი სიღარიბეში აღმოჩნდება.

„ეს ადამიანური კატასტროფაა, მაგრამ ასევე ხდება პოლიტიკური გამოწვევა იმ მთავრობებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ რაიმეს გაკეთება — მათ არ გამოუწვევიათ ეს და ხედავენ, რომ ფასები იზრდება“, — აღნიშნა მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელმა.

მსოფლიო ბანკის გამოთვლებით, სურსათზე ფასები, შეიძლება, 37%-ით გაიზარდოს, რაც განსაკუთრებით მძიმე იქნება ღარიბი მოსახლეობისთვის. დევიდ მალპასი მიიჩნევს, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს მთელ მსოფლიოში სასუქებისა და საკვების მიწოდების გაზრდაზე, ისევე როგორც მიზნობრივ დახმარებაზე უკიდურესად ღარიბები მოსახლეობისთვის.

ბათუმელი მზია ტოროტაძე უკრაინელებს უფასოდ აპურებს

24 თებერვალს, როცა რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და ომი დაიწყო, კიევში მცხოვრებმა მზია ტოროტაძემ რესტორნის კარი, დაკეტვის ნაცვლად ფართოდ გააღო და ხალხს ჯერ პურით და ხაჭაპურით გაუმასპინძლდა უსასყიდლოდ, შემდეგ კი, მათთვის კერძების კეთება და დარიგებაც დაიწყო.

პირველ დილით, როცა რესტორანი ჩვეულებრივ, დილის ათ საათზე გახსნეს, მზია მხოლოდ შიშს გრძნობდა — ახლა რა იქნება? რა მოხდება? მაგრამ ზუსტად ერთი საათის შემდეგ უკვე იცოდა, რა უნდა ეკეთებინა. მეორე დღეს პირველი, რაც გააკეთა, პური გამოაცხო. დაბნეული და შეშინებული ხალხი სწორედ პურს ეძებდა მაღაზიებში. 24 საათის განმავლობაში მის რესტორანს ასობით ადამიანი სტუმრობდა — თავიდან კიეველები ან კიევის ახლოს მცხოვრებნი, მათ შორის, ისინიც, ვინც ქალაქს ტოვებდნენ. დღეს კი მათ რიცხვს უკრაინის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ხალხიც აკითხავს.

თვეზე მეტია, ეს ნაკადი არ წყდება — დღეში ერთხელ, ყველას, ვისაც სჭირდება, მზია უფასოდ აპურებს და ამბობს, რომ ეს მისი ვალია და ეს საქმე აძლიერებს. ამ საქმეში მზიას არაერთი სხვა ქართველიც დაეხმარა. ზოგს ფქვილი მიჰქონდა, ზოგს ზეთი და მარილი, ზოგს საფუარი — პურის გამოსაცხობად, ზოგი თანხით ეხმარებოდა, რომ ეს ქველმოქმედება არ შეწყვეტილიყო. მათ შორის იყვნენ ნაცნობები და ახლობლები, უცხოებიც.

მზიას დამხმარეებად კი რესტორანში ის ადამიანებიც იქცნენ, ვინც გუშინ მის მიერ გაცემული უფასო საჭმლის რიგში იდგნენ. დღეში 300-ზე მეტ ადამიანს მასპინძლობენ. ბათუმელი მზია ტოროტაძე და მისი ოჯახის წევრები კიევის დატოვებას არ აპირებენ. იქ რჩება მისი მეუღლე და შვილიც. მზია კი ამბობს, რომ საქმე, რასაც დღეს ემსახურება, ის მინიმუმია, რისი გაკეთებაც მას საქართველოს სახელით უკრაინისთვის შეუძლია.

ეკა ქევანიშვილი, *რადიო თავისუფლების ჟურნალისტი*

აღმოაჩინეს კალენდრის უძველესი ნიმუში

გვატემალაში, პირამიდების კომპლექს ლას-პინტურასში გათხრების დროს არქეოლოგებმა 2200 წლის წინანდელი ფრესკა აღმოაჩინეს, რომელიც, მეცნიერთა ვარაუდით, მაიას ტომის 260-დღიანი კალენდრის ფრაგმენტს წარმოადგენს.

ფრესკა ძვ. წ. 300-200-იან წლებშია შესრულებული. ფრესკაზე გამოსახულია ირმის თავი და მაიას ტომის ციფრი 7, რაც ერთობლიობაში 260-დღიანი კალენდრის ერთერთ დღეს — „7 ირემს“ ნიშნავს. 260-დღიან კალენდარს ცენტრალური ამერიკის ყველა ძველი ცივილიზაცია იყენებდა. კალენდარი 13 ოცდღიანი პერიოდისგან შედგებოდა და არ იყოფოდა თვეებსა თუ კვირებზე. ციკლის თითოეულ დღეს რომელიმე ცხოველის, სტიქიისა თუ ნივთის სახელი ერქვა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალი გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 27 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0273; ევრო - 3.2864
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9540;
100 რუბლი - 3.7342; თურქული ლირა - 0.2113;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7854;
1000 სომხური დრამი - 6.4599.

ამინდი 22 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +23
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6, დღე +21
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +21
თბილისი: ღამე +11, დღე +23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge